პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი შაბათი 10 ოქტომბერი № 233 (18175) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საკვების სიუხვისათვის

რესპუბლიკური შტაბის „საკვები-81“-ის სხდომა

„საკვები-81“ შტაბში, რომელიც რესპუბლიკაში საკვების დამზადების მიმდინარეობის კოორდინატორია, მოვიდა ზნაურის რაიმასკომის თავმჯდომარის ა. ზასეევის დეპეშა, სადაც ნათქვამია, რომ იგი არ ეთანხმება სატელევიზიო პროგრამის „მოამბის“ სიუჟეტს, რომელშიც გაკრიტიკებულია რაიონში საკვების დამზადების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართულ „საკვები-81“ შტაბის მორიგ სხდომაზე გამოსვლისას, ა. ზასეევმა განაცხადა, რომ მის მიერ გაგზავნილი დეპეშა მცდარი იყო. შეცდომაში იგი რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მუშაკებმა შეიყვანეს.

შტაბის სხდომის ოქმის ამონაწერი: „პროგრამა „მოამბეში“ ზნაურის რაიონის მიმართ გამოთქმული კრიტიკა სწორი და საკვებით სამართლიანი იყო. ცნობად არის მიღებული, რომ ა. ზასეევის უსაფუძვლო საჩივართან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი, ხოლო ისინი, ვინც დამნაშავე იყო 17 ივნისის „მოამბეში“ ნაჩვენებ საკვების დამზადების დროს გამოჩენილ უყაირათობაში, დასაჯა ზნაურის რაიაღმასკომმა.

შტაბის სხდომის მონაწილეებმა გააანალიზეს საკვებწარმოების მდგომარეობა და აღნიშნეს, რომ მთლიანად კამპანია მიმდინარეობს შარშანდელი ტემპის გასწრებით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშაობა სექტემბერში, ოპერატიული ღონისძიებანი, რომლებსაც ახორციელებს „საკვები-81“ შტაბი, დადებითს შედეგს გვძლევს ნაყოლოვანებათა აღმოფხვრაში, რეზერვების გამოვლენაში, საკვების ხარისხის გაუმჯობესებაში. თუ, მაგალითად, შარშან რესპუბლიკის მეურნეობაში სენაჟის დამზადებას 10-15 დღეში ამთავრებდნენ, წელს — თითქმის ორჯერ უფრო სწრაფად ამზადებენ, ეს კი შესანახად ჩადებული საკვების მაღალი ხარისხის გარანტიაა.

ახლა, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, საკვების დამზადებაში დადგა გადამწყვეტი პერიოდი. შემოდგომა არა მარტო გვიკარნახებს საკვებწარმოების [illegible] მპყრობელ მუშაკებს: ახლოვდება პირუტყვის გამოზამთრება, სეზონიზული ხარვეზების გამოსასწორებელი დრო კი აღარ რჩება.

შტაბის სხდომის ოქმის ამონაწერი: „თიანეთის რაიონის ტუშურების საბჭოთა მეურნეობაში 28 ჰექტარ ფართობზე აღებული ნამჯა მინდორში უპატრონოდ დატოვეს და მოსახლეობის კუთვნილმა პირუტყვმა გაანადგურა. ლუმეთის რაიონში დასამზადებელ მდარე ხარისხის სენაჟი, გურჯაანის რაიონში — სილოსი, დაუდევრად ეკიდებიან პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფას ზუგდიდის რაიონში, სადაც 14 მეურნეობაში უკვე დაიწყეს სენაჟის ხარჯვა. საკმარისი რაოდენობის ტრანსპორტის უქონლობის გამო ჭიანურდება თიკვის გატანა წალკის რაიონის სათიბებიდან, რაც საფრთხეს უქმნის გიგმის შესრულებას“.

შტაბის სხდომაზე მოიყვანეს ავრეთვე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის მუშაკთა მიერ გამოვლენილი უყაირათობის მაგალითები, კერძოდ, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელუბნელის, ლუმეთავლის სახელობის კოლმეურნეობაში 60 ტონა სენაჟის 70 პროცენტი უხარისხო აღმოჩნდა. მაიაკოვსკის რაიონის ფერსათის, დმისის და ობჩის კოლმეურნეობებში იძულებული გახდნენ სასენაჟე მწვანე მასა უხეშ საკვებად გამოეყენებინათ, ხოლო ობჩისა და დმის კოლმეურნეობებს პალოსტაფოლის ტბის მიდამოებში მოთიბული ბალახი ჯერაც არ მიუზიდავთ ფერმაში.

გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობაში სილოსს გაუწმენდავ ტრაშჩეაში დებდნენ, ხოლო ბაკურციხის სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში სასილოსე ჩადეს უხარისხო მწვანე მასა. ანალოგიური სურათია ყანდაურის საბჭოთა მეურნეობაში. წამატების ფაქტები აღმოჩნდა ზუგდიდის რაიონის ცაიშისა და ჭითაწყარის კოლმეურნეობებში. და ასეთი მაგალითი ბევრია.

საკვების მიმდინარეობა, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, დღეს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, მეურნეობათა ხელმძღვანელების მთავარი ყურადღების საგანი უნდა გახდეს. რესპუბლიკის ფერმებში მაძღარი გამოზამთრების უზრუნველყოფა უმირველესი სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანაა. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

ამხ. გ. ს. თამაცაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დამსახურებისა და ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. გურამ სპარტაკის ძე **თამაცაშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.
თბილისი.
1981 წლის 8 ოქტომბერი.

ამხ. ო. ვ. თენეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობის, საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებისა და პროპაგანდის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ოთარ ვლადიმერის ძე თენეიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.
თბილისი.
1981 წლის 8 ოქტომბერი.

საუკუნის სარკე

თეატრი ყველგან თეატრია! ეს სიტყვები მაშინაც დაიწერა, როდესაც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ახალი რუბრიკა შემოვიღეთ — „თეატრი-კათედრა“. დიახ, თეატრი ყველგან უნდა თეატრობდეს, დედაქალაქშიც და მცირე ქალაქებშიც, რაიონშიც, ყველგან უნდა იყოს სიკეთის, ანგელოზებული ზნეობის, უმწიკვლო მოქალაქეობრივობის მქადაგებელი, უარყოფითისა და უკადრისის გამკილავი, ერთი სიტყვით — იგი უნდა იყოს სარკე ჩვენი რთული და საინტერესო ცხოვრებისა, სარკე საუკუნისა.

უნდა იყოს, მაგრამ, ეტყობა, ყველგან ასე არ არის, რადგან სულ ახლახან რესპუბლიკის თეატრალური ცხოვრების ღრმად გაცნობისა და გაანალიზების საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სგანგებო დადგენილება, „საქართველოს სსრ საქალაქო და რაიონული თეატრების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში, ცხადია, გათვალისწინებულია ბოლო ხანების თვალსაჩინო მიღწევები, გაანალიზებულია ამა თუ იმ თეატრის ნაკლოვანებანი, დასახულია მდგომარეობის გაუმჯობესების გზები, რადგან აშკარაა, რომ ზოგიერთი რაიონული თეატრი ვერ წარმართავს მუშაობას სადღეისო ideურ-ესთეტიკური დონის შესატყვისად, ვერ მიაგნო დამოუკიდებელ გზას, ანდა არ გაუფრთხილდა მიღწეულს და აღმა წასული ხაქმე დაკვეთა!

საქართველო თეატრმრავალი ქვეყანა რომ არის, ეს შემთხვევითი როდია; არც მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულის შედეგია რესპუბლიკაში 32 თეატრის არსებობა და ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხუთი მათგანი წელს პირველად ხსნის ფარდას. ესენია: თბილისის დრამატული თეატრი (გლდანი), მარიონეტების თეატრი თბილისშივე, თოჯინების თეატრი ბათუმსა და რუსთავში, ოზურგეთში მაყურებელთა რუსული თეატრი სოხუმში. ეს იმას ნიშნავს, რომ მომრავლდა, გამოიზარდა თეატრალური კადრები, რადგან არსებობს ბათანადო უმაღლესი სასწავლებელი. არსებობს დიდი მოთხოვნილება საზოგადოებისა — მაღალ ესთეტიკურ იხილოს წარსულის სურათებიც თუ ჩვენი დროის გმირიც და არა მარტო ჩვენი დროისა, მომავლის ადამიანიც, რომელიც ჩვენ ვფერდით იბადება და ვაყალიბებთ! ეს გმირი მწერალმა უნდა მიიყვანოს თეატრში, მწერალმა უნდა გააცნოს თანამოაზრეთ, ხოლო მერე კი თეატრმა უნდა წარუდგინოს საზოგადოებრიობას.

დღეს განსაკუთრებით საჭიროა თეატრის და დრამატურგის თანადგომა, რათა დიდი სიმართლით ასახოს საუკუნის მოვლენები სცენაზე. უუფლებოდ არ არის თანამედროვე დრამატურგიის იმედად ყოფნა? არამც და არამც, რადგან რესპუბლიკაში გასული სეზონის მანძილზე დადგმული 114 ახალი სპექტაკლიდან 72 თანამედროვე პიესა, აქედან კი ორმოცდაათამდე ქართულია! ცხადია, ყველას მხატვრულ ღირსებაზე თავს ვერ გამოვიდებთ, მაგრამ სანაქებოც მოიძებნება; დაასახელოთ თუნდაც ლაშა თაბუაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, შეუნელებელ ინტერესს რომ იწვევს რუსთავისა და კინომსახიობის თეატრების მაყურებელთა შორის. სამი სეზონის მანძილზე რუსთავში 170-ჯერ დაიდგა ეს პიესა!

აღორძინდა საქართველოს მწერალთა კავშირის დრამატული სექციის მუშაობა. ამ მხრივ მწერალთა კავშირისა და თეატრალური საზოგადოების ოფისხმობით ამ ზაფხულს სოხუმში გამართული ახალგაზრდა ქართველ დრამატურგთა თათბირი-სემინარი, რომელსაც უშუალოდ მწერალთა კავშირის მდივანი, მწერალი თამაზ ჭილაძე ხელმძღვანელობდა, საყურადღებო მოვლენა იყო. ასევე ღონისძიება ხელს შეუწყობს დრამატურგიის აღზრდას, თეატრალურ სამყაროსთან მწერლობის დაახლოებას, ახალგაზრდა ავტორების გამოვლენასა და მხარდაჭერას. შემოქმედებითს საკითხებთან ერთად არაერთი პრაქტიკული, საჭირბოროტო საკითხიც წამოიჭრა, კერძოდ, ბედი დრამატურგიის ბეჭდვისა, ანდა სახელმწიფოს მიერ შეძენილი პიესისა, რომელიც ხშირად თაროზე რჩება. შეძენილი პიესის ხორცშესხმა საჭიმაროდ ადარ უნდა იყოს, ავტორს გარანტია უნდა ჰქონდეს მისი დადგმისა. ხანდახან შეძენილი პიესა შეკვეთით არის დაწერილი, და ამიტომ ზოგიერთი თეატრი ალმაცერად უყურებს მას, — ღირს თუ არა ასეთი პიესის დადგმა.

შეკვეთა ყველა დროის მოთხოვნილებაა, შეკვეთა თანამოაზრეთა შეხვედრაც არის. ხელოვნების ბევრი შედევრი შეკმნილა შეკვეთით და ბევრსაც შეიქმნება. მით უფრო უარიანია შემოქმედის როლი თეატრისათვის, მას შეუძლია უშუალოდ დაიახლოოს, „დაისაკუთროს“, გაითავისოს ასურველი დრამატურგი და ამით კიდევ უფრო გამოკვეთოს საკუთარი ხელწერა, სხვათაგან განასხვავოს თავისი სახელოვანი თეატრი. ამ მხრივ საინტერესოა მეტეხელთა ლაბორატორია. თეატრისა და დრამატურგიის შემოქმედებითს ურთიერთობას ემსახურება სწორედ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო სარედაქციო კოლეგია, რომელიც სარეპერტუარო გეგმის კეთილწარმმართველიც გახლავთ.

თქმა არ უნდა, დღევანდელი ქართული თეატრი ალზე ამაღლდა როგორც მხატვრული ფენომენი, ამავე დროს ძალზე სახალხო და დემოკრატიულიც არის თავისი მისწრაფებებით, მასზტაბებით, მსოფლმხედველობით, ესთეტიკური პრინციპებით.

ასეთია დღეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, რომელიც სასეირნოდ და სასეირნოდ კი არა, საქვეყნო მისიით მოაზროვნობს და ახალ-ახალი გამარჯვებებით აგვირგვინებს გასტროლებს.

წელს რუსთაველის თეატრი ასი წლის თავს იხდის; ეს სინამდვილეში განახლებული ქართული თეატრის იუბილეა, იმ თეატრისა, რომელიც გადმოგვალოცა ილიასა და აკაკის საუკუნემ, რომელიც მათვე დამოძღვრეს და რომლის დასსაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ამ 60 წლის წინათ, რუსთაველის სახელი დაენათლა. ეხე იგი, წლევანდელი წელიც ნარჩენულებრივი და მოუსვენარი იქნება ამ სახელოვანი თეატრისათვის, მისი სამხატვრო ხელმძღვანელის რობერტ სტურუასათვის, მისი ბრწყინვალე დასისათვის.

ამ ერთი ზეიმით როდი ამოიწურება ახალი სეზონის დასაწყისი. ასი წელი შეუსრულდა თვით დრამატულ საზოგადოებასაც, რასაც უსწრებს თეატრალური საზოგადოების IX ყრილობა, და ამდენად ზეიმობს მთელი თეატრალური საქართველო, ზეიმი ელის ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრს — იგი ხომ თავის არსებობას 100 წლის წინათ სცენისმოყვარეთა მიერ დადგმული პირველი ქართული წარმოდგენიდან ითვლის.

130 წელი სრულდება თბილისში ქართული საოპერო თეატრის დაარსებიდან. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შარშანდელი ძიება-წარმატებანი თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ო. თაქთაქიშვილის ახალი ოპერის „პირველი სიყვარულის“ დადგმით, რომელიც თეატრმა სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს უძღვნა და რომლითაც ჭეშმარიტად გაახარა საზოგადოებრიობა.

რ. ლაღიძის ოპერა „ლელათი“ შეეგება საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავს ოპერისა და ბალეტის თეატრის ქუთაისის ფილიალი, რომელსაც უკვე ეროვნული, კლასიკური თუ თანამედროვე ნაწარმოებების დადგმის ჩინებული ტრადიცია აქვს.

ერთგვარად გულგატეხილია მაყურებელი ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრზე! მაგრამ სეზონის მიწურულს დადგმული შ. მილორავას ახალი მუსიკალური კომედიით „ძუნწი“ (გ. ერისთავის მიხედვით) და მისი დონის ახალი სპექტაკლებით იგი უთუოდ მოახერხებს ამავე მაყურებლის გულის მოგებას.

ნათქვამია, თეატრი დღეასწაულიაო, და რა ბედნიერია კაცი, თუკი მართლა ზეიმის მონაწილე გახდება. თეატრი ხომ კრებსითი შემოქმედია! აქ ზეიმობს მწერალი, აქ ზეიმობს მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი, კომპოზიტორი, ქორეოგრაფი; მაგრამ უმაყურებლოდ არა! ამიტომ თეატრმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს თავისი ერთ-ერთი თანაავტორი—მაყურებელი, თორემ მისი შემოქმედება გაუცხოვდება. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული დრამატურგიის თანაფარდობასაც, მაგალითად, მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში განხორციელებული ოთხი ახალი დადგმიდან არც ერთი არ არის ქართული. ქალაღდზე დარჩა სარეპერტუარო გეგმაში შეტანილი კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ და თ. ჭილაძის „თავფარავნელი ჭაბუკი“, რომელიც სეზონიდან სეზონში გადადის. ამ თეატრში დადგმული საინტერესო სპექტაკლები კი აღვივებს სურვილს თეატრისა და ქართველი მწერლების თანაშემოქმედებისას, ერთმანეთთან უფრო გულღიად მისვლისას, ქართულ მასალაზეც ისეთივე ხალისიანი სბავშვო სანახაობის შექმნისას, როგორც შ. გაწერელიასეული „წითელქუდაა“.

თუ რა საინტერესოდ შეიძლება ეროვნული საგანძურის გამოყენება, მისი ახლებურად აელვარება, ამის ჩინებული მაგალითია მარჯანიშვილელთა სპექტაკლი „ჰაკი ანბა“, (ლ. ქიაჩელის მიხედვით), რომელიც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თ. ჩხეიძის პირველი ნამუშევარია. აქ მისვლის შემდეგ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

ან კიდევ გრიბოედოველთა მაგალითი, გ. ეორდანიამ ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი“ რომ გაასცენიურა. იგი პირველწყაროსთანაც ახლოს დგას და თეატრალურიც არის, ამ ხატყვის კარგი გაგებით. ეს დადგმაც საბჭოთა საქართველოს მესამოცე წლისთავს მიეძღვნა და მისი პრემიერა ბაქაში გასტროლების დროს გაიმართა და დიდი მოწონება ხვდა წილად.

ორიგინალური სპექტაკლებით ეწვია მოსკოვს ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი და ცენტრალურმა პრესამაც არ დაიშურა შექება. და აი, ინსცენირების კიდევ ერთი საუკეთესო მაგალითი — ნ. ოსტროვსკის რომანის მიხედვით შექმნილი გ. ქავთარაძის სპექტაკლი „რამდენიმე ეპიზოდი კომუნისტის ცხოვრებიდან“!

სარეპერტუარო გეგმა გულდასმით, დაკვირვებით, საკუთარი ძალების გათვალისწინებით უნდა დგებოდეს და მაშინ ფუფუ ალარ იქნება თეატრის განაცხადი. ოთხი თეატრის სარეპერტუარო გეგმაში იყო შეტანილი შექსპირის „მაკბეტი“, განახორციელა კი ერთადერთმა — ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ოსურმა დასმა.

საინტერესოდ ჩაიარა ს. შაუმიანის სახელობის დრამატული თეატრის გასტროლებმა სომხეთში, რაც ახალ სეზონში კიდევ უფრო წაახალისებს დასს: მათ აფიშაზე ხშირად ჩანს ქართული პიესა. ამის მაგალითია ახლად დადგმული დრამა მ. ბარათაშვილისა „ფიქრები სიყვარულზე“. ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის შარშანდელი დადგმებიდან გამოირჩევა მ. როშჩინის „იჩქარეთ სიკეთისათვის“.

კარგად მახსენდლობდნენ მაყურებლებს ქართული და რუსული თოჯინების თეატრები... ყველას თავისი წილი შემოქმედებითი სიხარული აქვს; თელავის თეატრი ახალ დადგმულ შენობაში დაბინავდა, ეს მეტ პასუხისმგებლობასაც აკისრებს დასს და მის სამხატვრო ხელმძღვანელს.

...სბავშვო სპექტაკლების საკავშირო დათვალიერებაზე პრემიით აღინიშნა ზუგდიდის შ. დადიანის სახელმწიფო თეატრში თ. მეხნის მიერ დადგმული გ. მამლინის „შენ, ეი, გამარჯობა“. გალაკტიონის პოეზია შეიკრა საღამო-სპექტაკლად ბათუმის სცენაზე რეჟისორ გ. აბესაძისა და დრამატურგ გ. ხუხაშვილის შემოქმედებითი თანამგზავრობის შედეგად.

მაყურებლის მოზიდვის ახალ ხერხებს — დისკუსიებს მიმართა ფოთის თეატრმა.

...ისევ მწერლისა და თეატრის, თეატრისა და მწერლის კეთილ ურთიერთობას დავუბრუნდებით, რადგან სიტყვაა უპირველესი შუამავალი ხელნასა და დარბაზს შორის და ამ სიტყვის მეურვეობა კი მწერლის ვალია! ქართული დრამატული საზოგადოების შექმნის დღიდან მისი თავდადაბერული საზრუნავი ენის სიწმინდეც გახლდათ, რადგან თეატრი ენის ტაძრადაც ესახებოდათ. ჩვენი საუკუნის დასაწყისში, 1903 წელს ქართული დასის რეჟისორად აკაკი წერეთლის მიწვევის ერთ-ერთი მიზეზი ხომ ისიც იყო, რომ ქართველ მსახიობს არ დაემახინჯებინა ის ენა „რომელზედაც მუსიკობდა რუსთველი“, რომ სცენაზე „გამტკიცულგასპეტაკებული“ ქართულით ელაპარაკათ და არა ჩიქორთულით, როგორც ამბობდა აკაკი. მაშინ პოეტმა ეროვნულ სარკედ აღიარა სცენა, სარკედ, რომელიც უშიშრად და უტყუარად უნდა გვასახავდეს ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს, და რომ ეს „ძლიერი სარკე“ მსახიობმა ღირსეულად უნდა დაიჭიროს ხელში! ეს მცნება კარგად დაიხსომა თეატრმა.

„...ჭვენ დამანახეთ ერთგულება და გამრჯელობა ქართულ თეატრისადმი და მე გიჩვენებთ მაგალითს მისის სიყვარულისასო“, — აღუთქვა პოეტმა ქართული თეატრის დასს და ეს მარადიული სიტყვები, თეატრისა და მწერლობის განუყოფელობის, თანადგომა-თანაგრძნობის ფიცივით რომ ეღერს, დღესაც მიხაბაძია.

ბათუმი

უხვი რეწვა აქვთ კოლმეურნეობა „წითელი მეთევზის“ მებადურებს. განსაკუთრებით დაწინაურდნენ ის კოლექტივები, რომლებსაც კაპიტან-ბრიგადირები ს. ქირია, ა. და ვ. კარაპეტიანები ხელმძღვანელობენ. ისინი უკვე 1982 წლის ანგარიშში რეწავენ.

კოლმეურნეობამ წლეულს 8.700 ტონა თევზი უნდა მიჰყიდოს სახელმწიფოს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 64-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება თითოეული ბრიგადის კოლექტივებს შორის.

კოლმეურნეობა „წითელი მეთევზის“ მებადურებმა ვალდებულება იკისრეს წლიური დავალება ნოემბერში შეასრულონ (საკ. კორ).

ტყიბული

„აღმოსავლეთ-2“ შახტის (დირექტორი — ა. ჭარქაშაძე) კოლექტივმა, დამკვრელურად იშრომა და ცხრა თვის სახელმწიფო დავალება თერთმეტი დღით ადრე შეასრულა. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 47 ათასი მანეთის ქვანახშირი.

გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამ საექსპლოატაციო უბანმა, რომელსაც სამთოელი დ. მაღლაფერიძე უდგას სათავეში. სამაგალითოდ შრომობენ ფ. ხოხაძის, ო. გვენეტაძის და შ. ჯავახაძის კომპლექსური ბრიგადები. ისინი ყოველდღიურად საშუალოდ 280 ტონა ქვანახშირს ანერგავენ. ტყიბულის ქვანახშირის სახადგილ სანგრევებში ასეთი მაჩვენებელი საუკეთესოდ ითვლება (საკ. კორ.).

ცხინვალი

სამხრეთ ოსეთის სამრეწველო საწარმოთა შორის მექანიკური ქარხანა ერთ-ერთი მოწინავეა. მისმა კოლექტივმა პროდუქციის წარმოების ცხრა თვის გეგმა ოცი დღით ადრე შეასრულა და 2.885 ათასი მანეთის ნაწარმი გამოუშვა.

საუკეთესო შრომით მაჩვენებლებს აღწევენ ამწის კაბინებისა და ლითონის კარადების დამამზადებელი ბრიგადები (უფროსი ოსტატები ი. კაზიმაროვი და ზ. ალაევი). მათ უკვე ათი თვის საწარმოო დავალება შეასრულეს. მოწინავე ზეინკლების გ. ცხოვრებოვის, ფ. ბოგაჩევის, მ. ბეხტაევის, თ. ჯაგაევის, ხარატების დ. თედეევის, ო. თურმანოვის, ი. გაგიევის და სხვათა გადაწყვეტილებაა წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულონ (საკ. კორ.).

ხოგის რაიონში ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს სახილოსე სიმინდის დამზადება ხოფელ ხეთას სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლებმა. დილიდან დაღამებამდე მუშაობენ კომბაინები ყანაში.

საკვებმომპოვებლები 30 ჰექტარზე დაამზადებენ 800 ტონა საკვებს. მეურნეობაში მოამარაგებენ 600 ტონა სენაჟს, დიდძალ უხეშ საკვებს. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა პირუტყვი ძაღლად გამოზამთრონ.

სურათზე: სახილოსე სიმინდის მოსავლის აღება.

ი. ბოგოლიუბოვის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

წესრიგი დავამყაროთ საბინაო საკითხის გადაწყვეტაში

ამ გზით წლებში რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი განახორციელეს საცხოვრებელი ბინებით მოქალაქეთა დასაკმაყოფილებლად. მეათე ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადაეცა 4.240 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, საბინაო პირობები გაიუმჯობესა 152.480 ოჯახმა.

ამასთანავე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რომელმაც განიხილა საკითხი „საქართველოს სსრ ზოგიერთ ქალაქში მოქალაქეთა ბინით დასაკმაყოფილებლად აღრიცხვაზე აყვანისა და საცხოვრებელი ფართობის განაწილების მდგომარეობის შესახებ“, აღინიშნა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში რეკონსტრუქციას განაკუთვნებენ ისეთ საცხოვრებელ სახლებს, რომლებიც არ არის მთლად ამორტიზებული, ეს კი აფერხებს ბინების დროულ მიცემას მოქალაქეებისათვის, რომლებიც საერთო სიით დგანან აღრიცხვაზე.

მეათე ხუთწლედში სამინისტროებისა და უწყებების ხაზით აშენდა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი 600 ათას კვადრატულ მეტრს სჭარბობს, ხოლო საბინაო სამშენებლო კოოპერატივების სახსრებით — 800 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი, რამაც, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო იმ მოქალაქეთა საბინაო პირობების გაუმჯობესებას, რომლებიც სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საერთო სიით არიან აყვანილი ბინის მიღების აღრიცხვაზე ხოლო, მეორე მხრივ, ვერ მოახდინა გავლენა იმ მოქალაქეთა საბინაო პირობების გაუმჯობესებაზე, რომლებიც სიის თავში იყვნენ.

მოქალაქეთა საბინაო პირობების გაუმჯობესებას აბრკოლებს ავრეთვე მოსახლეობის მიგრაცია რაიონებიდან, რის შედეგადაც საერთო საცხოვრებელი ფართობი ერთ სულ მოსახლეზე განაგარიშებით დიდ ქალაქებში შეადგენს 11,4 კვადრატულ მეტრს, ხოლო რაიონულ ცენტრებში 18,8 კვადრატულ მეტრს. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახლავთ რესპუბლიკის დიდ ქალაქებში საწარმოო სიმძლავრეთა უბირატესი განვითარება.

საერთო სიაში შეტანილ მოქალაქეთა ბინით დაკმაყოფილებას აყოვნებს ავრეთვე მნიშვნელოვანი რაოდენობის ოჯახების არსებობა, რომლებიც შეიღავათებით სარგებლობენ საბინაო პირობების გაუმჯობესების მხრივ.

ამის გამო, სულ უფრო აქტუალური ხდება სახელმწიფო კანონმდებლობის განუხრელი დაცვა ბინების მიღების აღრიცხვაზე მოქალაქეთა აყვანისა და ბინების განაწილების დროს.

შეშფოთებამ, რომელიც საქართველოს სსრ პროკურატურამ, სახალხო კონტროლის კომიტეტმა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ მოაწყვეს, გამოავლინა საბინაო კანონმდებლობის უხეში დარღვევები ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, რუსთავში, მარნეულში, თელავში, ხაშურსა და ბორჯომში.

რესპუბლიკის დირექტიული ორგანოების არაერთგზის მითითებათა მიუხედავად სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მთელი რიგი საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელები არ ახორციელებენ საკონსულტაციებს, რათა ჯეროვანი წესრიგი და სახელმწიფო დისციპლინა დამყარდეს ბინის მიღების აღრიცხვაზე მოქალაქეთა დაყენებისა და ბინების განაწილების საქმეში, არ უწევენ სისტემატურ კონტროლს საწარმო-ორგანიზაციათა საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიების მუშაობას.

არის ფაქტები, როცა მოქალაქეები აღრიცხვაზე აპყავთ შესაბამისი დებულების მოთხოვნების დარღვევით.

ზოგიერთ საწარმოსა და დაწესებულებაში არ არის შექმნილი საზოგადოებრივი საბინაო კომისიები, ხოლო არსებული კომისიები არ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

მთელ რიგ შემთხვევებში ბინის მიღების აღრიცხვაზე აპყავთ და ბინას აძლევენ იმათ, ვინც არ არის ჩაწერილი და არ ცხოვრობს ქალაქში, ავრეთვე იმათ, ვისაც აკლია ჩაწერის დადგენილი ვადა...

საბინაო კანონმდებლობის დარღვევები მნიშვნელოვანწილად იმით არის გამოწვეული, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები ღრმად არ სწავლობენ საბინაო ფონდის, მისი აღრიცხვისა და განაწილების მდგომარეობას. არ ხდება მისი რეგულარული შემოწმება, ისეთი ბინების გამოვლენა, რომლებიც გამოკეტილი აქვს პატრონს, ხოლო ასეთი ბინების არსებობის გამოვლენილი ფაქტების გამო არ იღებენ სათანადო ღონისძიებებს, დამაკმაყოფილებლად არ არის ორგანიზებული იმ ბინებში მოქალაქეთა ჩაწერისადმი კონტროლი, რომელთა ბინადრებმა მალე უნდა მიიღონ ახალი ბინა. მთელ რიგ შემთხვევებში სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს შესახლების ორდერში შეაქვთ არასწორი მონაცემები საცხოვრებელი ფართობის სიდიდისა და ოჯახის სულადობის შესახებ.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მხრივ კანონდებლობის უხეშ დარღვევებს გაანაპირობებს აგრეთვე ორდერების გაცემა იმ ბინებში შესახლებაზე, რომლებიც ჯერ არ დაუცლია მობინადრეებს, ხოლო საკითხები, რომლებიც ამ ბინებში მცხოვრებ მოქალაქეთა უფლებებს ეხება, სადავოა.

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს ბინის მიღების აღრიცხვაზე მოქალაქეთა აყვანისა და საცხოვრებელი ფართობის განაწილების მდგომარეობა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების უფროსებს დარღვევებს, რომლებსაც ისინი უშვებენ, და დაავალა გადასინჯონ ბინის მისაღებად მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანის და საცხოვრებელი ფართობის განაწილების შემოუშავებული და დამტკიცებული წესები, შეიტანონ ამ წესებში სათანადო ცვლილებები და დამატებები. მაქსიმალურად უნდა შემცირდეს ვარგისი საბინაო ფონდის აღების შემთხვევები ცალკეული მიკრორაიონ-

(დასასრული მე-3 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

იდეოლოგიურად უგრუნველყოთ პარტიის გეგმები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტმა გა

სრულვყოფთ სამეურნეო მექანიზმი

კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანი გამოყენების გზების ძიების შედეგად, მრავალი ექსპერიმენტების შემდეგ, მიღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა-საბჭოს დადგენილება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ. დადგენილებაში ნათქვამია, რომ მეთვრამეტე ხუთწლედიდან დაწყებული, თანდათანობით, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებში შრომის ნაყოფიერება დაიგეგმება წმინდა (ნორმატიული) პროდუქციის ანდა სხვა მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც უფრო სწორად ასახავს შრომის დანახარჯებს. ამგვარად, ბოლო მოეღება ნეგატიურ ტენდენციებს, როცა ცდილობდნენ მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ზოგიერთი მაჩვენებლის ამაღლებისათვის მიელწიათ, ძვირად ღირებული კონსტრუქციებისა და ნაკეთობების გამოყენებით და გაუმართლებლად გაედიდებინთ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ფასები.

აღნიშნული დადგენილების მიღებიდან ორი წელი გავიდა. ჩვენი ქვეყნის ბევრ სამშენებლო ორგანიზაციაში შრომის ნაყოფიერება უკვე იგეგმება ნორმატიული წმინდა პროდუქციის მიხედვით, ხოლო საქართველოს წამყვანი სამშენებლო ორგანიზაციები საფუძველს უყრიან ამ ახალი მეთოდის დანერგვას.

მშენებლობაში დასახელებული სიახლის დანერგვის უზრუნველყოფა სათანადო ნორმატიული ბაზის შექმნის გარდა, მოითხოვს თეორიულ მომზადებას. მოძველებული ფსიქოლოგიური ბარიერებისა და წინააღმდეგობების დაძლევას.

მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის მახასიათებლები გამოკვეთილია სათანადო სტანდარტებით. აქ ერთგვაროვნება შესაძლებლობას იძლევა წმინდა ნორმატიული პროდუქცია განისაზღვროს პროდუქციის საპრეისკურანტო ფასების დადგენასთან ერთად. სულ სხვა მდგომარეობაა მშენებლობაში. აქ სამშენებლო პროდუქციის (შენობებისა და ნაგებობების) ღრმა ინდივიდუალური ხასიათის გამო ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს. ამიტომ ერთნაირი მიდგომა მშენებლობასა და მრეწველობაში წმინდა (ნორმატიული) პროდუქციის განსაზღვრისადმი გამორიცხულია. სამშენებლო პროდუქციის შემადგენლობაში შესული წმინდა პროდუქცია გაფანტულია მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის ცალკეულ ელემენტებში — როგორც პირდაპირ დანახარჯებში, ისე ლიმიტირებულ ხარჯებში.

სამშენებლო პროდუქციის ღირებულების ძირითადი ნაწილი მოდის მშენებლობის პირდაპირ ხარჯებზე და, ცხადია, წმინდა პროდუქციის უმეტესობა ამ ხარჯებშია განივთებული, კონკრეტულად, მშენებლობის პირდაპირი ხარჯებიდან წმინდა პროდუქციის სახით გვევლინება მუშათა ძირითადი ხელფასი და იმ მუშების ხელფასი, რომლებიც დასაქმებული არიან სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების ექსპლოატაციაზე. მშენებლობის პირდაპირ ხარჯებში უმთავრესი წილი უჭირავს საშენი მასალების ფასს, იგი თვითონ შეიცავს მუშათა ხელფასის ნაწილს, რომელიც იხარჯება ამ მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვაზე, გადაზიდვაზე, დასაწყობებასა და შენახვაზე.

ამის გამო, რომ მასალების ფასიდან მუშათა ხელფასის გამოყოფა დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან, სსრ კავშირის სახმშენმა სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებში წმინდა პროდუქციის

უცყუარი საზომი

წმინდა პროდუქცია სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის მუშაობის მაჩვენებელია

გამოყოფისას მხედველობაში არ მიიღონ საშენ მასალებში განივთებული მუშათა ხელფასი, სამაგიეროდ სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების ექსპლოატაციისათვის გაწეული დანახარჯები საამორტიზაციო ხარჯებსა და ენერგორესურსების ღირებულების ჩათვლით მთლიანად მიაკუთვნონ წმინდა პროდუქციას.

სსრ კავშირის სახმშენმა 1980 წლის ივნისში მიიღო დადგენილება მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ნორმატიული პირობით — წმინდა პროდუქციის გამოყოფის თაობაზე. შეტანილ იქნა ცვლილებები ინსტრუქციებში პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამუშავების შესახებ. კერძოდ: ხარჯთაღრიცხვების ფორმებს მშენებლობების ობიექტების, ასამოქმედებელი კომპლექსებისა და რიგების ღირებულებათა შესახებ დიმატა გრაფები ნორმატიული პირობითი — წმინდა პროდუქციის ღირებულების ჩასაწერად და ამ უკანასკნელიდან მუშათა ძირითადი ხელფასების, სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების ექსპლოატაციის ღირებულების გამოყენებით. დასახელებული ინსტრუქციები სრულყოფილი გახდა მთელი რიგი განმარტებითი ხასიათის დამატებებით.

დადგენილია, რომ:

— საგეგმო დაგრეგვების ხარჯებში ნორმატიული პირობითი-წმინდა პროდუქციის ღირებულება შეადგენს მშენებლობის პირდაპირ დანახარჯებში შემავალი ანალოგიური პროდუქციის ღირებულების 45 პროცენტს. გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ, თუ ზოგიერთ სამუშაოთა ღირებულებაში დიდია ძირითადი ნედლეულებისა და მანქანების ექსპლოატაციის ხარჯების წილი, შესაძლებელია ნორმატიული პირობითი-წმინდა პროდუქციის ღირებულება მეტი იყოს თვით საგეგმო დაგროვების მოცულობაზე.

— დროებითი შენობებისა და ნაგებობებისათვის ნორმებით გათვალისწინებულ დანახარჯებში 30 პროცენტს. შედგენს წმინდა პროდუქციის ღირებულება, თუ დროებითი შენობების და ნაგებობების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა არსებული წესების შესაბამისად შედგენილი და დამტკიცებულია მშენებლობის დამკვეთის მიერ, მასში წმინდა პროდუქციის განსაზღვრა ხდება ობიექტების ღირებულებიდან ანალოგიური მაჩვენებლების განსაზღვრის შესაბამისად.

ზამთრის პირობებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მიმდინარეობის დროს დამატებითი ხარჯებიდან ნორმატიული წმინდა პროდუქციის გამოყოფისათვის დადგენილი სათანადო კოეფიციენტები.

შემუშავდა წესები მოიჯარე ორგანიზაციებისათვის დადგენილი გაუთვალისწინებელი ხარჯებიდან ნორმატიული წმინდა პროდუქციის გამოყოფის შესახებაც.

სსრ კავშირის სახმშენის ზემოაღნიშნული დადგენილებით მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტებში განსაზღვრულია პირობით წმინდა პროდუქციის გამოყოფის წესები, რომლებიც დამუშავებულია სხვადასხვა პროგრამით ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენებით.

დამკვეთი ორგანიზაციები, მშენებლები და საპროექტო ორგანიზაციები ხშირად მიმართავენ სათანადო ორგანოებს შეკითხვებით, სახარჯთაღრიცხვო დანახარჯების რომელი მუხლი მთლიანად უნდა მიეკუთვნოს პირობით — წმინდა ნორმატიულ პროდუქციას. იმის საფუძველზე, რომ წმინდა პროდუქცია მთლიანი პროდუქციის საერთო ღირებულების ნაწილია, რომელშიც განხორციელებულია მხოლოდ მოცემული კოლექტივის შრომა, დასმულ კითხვებზე გარკვევით შეიძლება გაიცეს პასუხი.

ნორმატიულ პირობით — წმინდა პროდუქციას მიეკუთვნება მთლიანად:

მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და ახალი მანქანა-დანადგარებით აღჭურვისათვის მშენებლის მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის გაწეული დამატებითი ხარჯები, განსაზღვრული ზედნადები ხარჯებისადმი დაწესებული დარგობრივი კოეფიციენტის გამოყენებით;

— ობიექტის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მოიჯარე ორგანიზაციის დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია მშენებლობაში ჩაბმული საშუალო ხელფასიანი მუშაკების ხელფასების გადიდების გამო;

— სამშენებლო ნაგების აღებისათვის გაწეული ხარჯები;

— მოიჯარე ორგანიზაციების დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია მცირე მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების გამო და განსაზღვრულია სათანადო ნორმატივებით;

— დანახარჯები ცენტრალური გათბობის სისტემების, ჰაერის განიავების და კონდიციირების მოწყობილობათა ამოქმედება-გამართვის უზრუნველსაყოფად, როცა ეს ხარჯები გათვალისწინებულია სათანადო ხარჯთაღრიცხვებით და სხვა.

ცალკეულ შემთხვევებში გამორიცხული არ არის, რომ ხარჯთაღრიცხვებში წმინდა პროდუქციის გამოყოფის სამუშაოები შესასრულოს დამკვეთმა ან მოიჯარემ, მაგრამ შედეგი უნდა დაამტკიცოს საპროექტო ორგანიზაციამ.

ამჟამად დამკვეთებსა და საპროექტო ორგანიზაციებს მიცემული აქვს სადირექტივო მითითება, რომ ყველა ხარჯთაღრიცხვა (რომლებიც გათვალისწინებულია მშენებლობის განსაორციელებლად 1983 და შემდგომ წლებში), უნდა შედგეს ნორმატიული პირობით-წმინდა პროდუქციის გამოყოფით.

დამკვეთებისა და საპროექტო ორგანიზაციების ნაწილმა უკვე უზრუნველყო მასობრივად მშენებარე ობიექტებისათვის დამუშავებული, მომქმედი პრეისკურანტებიდან ნორმატიული წმინდა პროდუქციის გამოყოფა. ახალი პრეისკურანტები კი დგება ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

როგორც წინათ შემუშავებულ ხარჯთაღრიცხვებში, ისე ახლებში, წმინდა ნორმატიული პროდუქციის გამოსაყოფად საპროექტო ორგანიზაციები დამკვეთებიდან იღებენ დამატებითს ანალიზურებას.

ხარჯთაღრიცხვებიდან ნორმატიული წმინდა პროდუქციის გამოყოფის პრაქტიკა საშუალებას მოგვცემს შევქმნათ მშენებლობაში მარტივი და ზუსტი ინსტრუმენტი შრომის საყოფიერების ანალიზურად დაგეგმვისათვის.

დ. გუგავა,
საქართველოს სსრ სახმშენის მშენებლობის ორგანიზაციებისა და ეკონომიკის განყოფილების უფროსი.

ბანგლადეშის ელჩი თბილისში

7 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულიფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მირზა რაშიდ აჰმადი მეულლითურთ. იგი გაცნობის მიზნით მოგზაურობს საბჭოთა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

● ●

8 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა მიიღო ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულიფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მ. რ. აჰმადი.

ამხ. პ. გ. გილაშვილი სტუმარს გულთბილად მიესალმა და გააცნო რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურა და საქმიანობა, ესაუბრა მიღწეულებზე, რომლებთაც საქართველოს მშრომელები შეხვდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციის მეოთხე წლისთავს. მან გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირსა და ბანგლადეშს შორის დამყარებული მეგობრული კონტაქტები კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება.

იმავე დღეს საპატიო სტუმარი მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია მას ესაუბრა რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევების შესახებ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

მ. რ. აჰმადმა მადლობა გადაიხადა გულითადი მასპინძლობისათვის. მან მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა საქართველოს მიღწევებს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში. მ. რ. აჰმადმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ფასდაუდებელ დახმარებას უწევს ბანგლადეშის ხალხს ეროვნული ჩაგვრის შედეგების დაძლევასა და ახალი ცხოვრების შენებლობაში.

საუბრებში მონაწილეობდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ა. ჭიჭინაძე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო-საკონსულო განყოფილების გამგე ნ. ბ. რუხაძე. (საქინფორმი).

7 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა შვეიცარიის იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია მინისტრ კარლ პეტრის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სახელმწიფო მდივანი უვე ლინდი და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელები.

მათთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ვ. ი. ტერებილოვი და შვეიცარიის მოსკოვის საელჩოს დესპანი იან სტელი.

თბილისის აეროპორტში სტუმრებს დაუვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს იუსტიციის მინისტრი ა. ა. შუშანაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. გ. კარანაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ა. ჭიჭინაძე.

სტუმრები იყვნენ საქართველოს სსრ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში და რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში.

იმავე დღეს შვეიცარიის დელეგაცია გაეცნო თბილისისა და მიდამოების ღირსშესანიშნაობებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით სტუმრებს საღამო გაუმართეს. (საქინფორმი).

შვედი იურისტები საქართველოში

შვეიცარიის დელეგაციის წევრთა სახელით პ. პეტრომ მადლობა დაუხადა გულთბილი მიღებისთვის.

შეხვედრას დაესწრნენ სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ვ. ი. ტერებილოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს იუსტიციის მინისტრი ა. ა. შუშანაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. გ. კარანაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ა. ჭიჭინაძე.

სტუმრებმა იყვნენ საქართველოს სსრ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში და რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში.

იმავე დღეს შვეიცარიის დელეგაცია გაეცნო თბილისისა და მიდამოების ღირსშესანიშნაობებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით სტუმრებს საღამო გაუმართეს. (საქინფორმი).

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

საკლესიასა და ახალი ამგებების საბაგენტოს კორესპონდენტები გვაცნობინებენ

9 ოქტომბერი

კრესკ ადასტურებს

აწყობენ შეთქმულებას

პარიზი. „ამერიკელმა მეგობრებმა გვაცნობეს, რომ მზად არიან აღორძინონ ანგოლის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი“. ანგოლის საწინააღმდეგო ტერორისტული დაჯგუფების — ეგრეთ წოდებული ანგოლის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის მეთაურის ხოლდან რობერტოს თანაშემწის ეს სიტყვები მოჰყავს აქ გამომავალ ჟურნალს „აფრიკ-აზის“.

ამ ბანდიტურმა დაჯგუფებამ, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამერიკის იმპერიალისტურ წრეებთან, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პირდაპირი მითითებით მოქმედებდა და იარაღს ჩინეთიდან იღებდა, პრაქტიკულად უკვე დიდი ხანია შეწყვიტა არსებობა. მისი ბანდები გაანადგურეს ანგოლის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ნაწილებმა და ნარჩენები განდევნეს რესპუბლიკის ფარგლებიდან, ხოლო ხოლდენრობერტო, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაქირავებული აგენტი, პოლიტიკური ჰორიზონტიდან გაქრა. მაგრამ, აღნიშნავს „აფრიკ-აზი“, ყოფილ მეურვეებს, ეტყობა, განზრახული აქვთ ანგოლის ჩრდილოეთში დაძაბულობის გამწვავების მიზნით ააღორძინონ ანგოლის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი.

ჩვენ ვხედავთ რეიგანის ადმინისტრაციის აშკარა შეთქმულებას ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, აღნიშნულია სტატიაში. ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელმა ხელმძღვანელობამ სენატს უკვე გაუშვებინა კლარკის ეგრეთ წოდებული შესწორება, რომელიც, კერძოდ, კრძალავდა ანგოლის საწინააღმდეგო დაჯგუფების უნიტასათვის სამხედრო დახმარების გაწევას და ანგოლის წინააღმდეგ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ოპერაციებს. ანგოლის სახალხო რესპუბლიკის სამხრეთში მოქმედი უნიტასათვის სამხედრო, ფინანსურ და მატერიალურ მხარდაჭერაზე კანონმდებელთა თანხმობის მიიღებისთანავე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სტრატეგები შეუდგნენ ამ შეთქმულების მეორე ნაწილის განხორციელებას. ისინი ვარაუდობენ, რომ გააცოცხლებენ ანგოლის განთავისუფლების ეროვნულ ფრონტს, შეაიარაღებენ გადარჩენილ ბანდიტებს და ანგოლის ჩრდილოეთში შექმნიან დაძაბულობის კერას.

● ინგლისი-პაკისტანი

მ. ჯეჯჩერის ვიზიტი

ისლამაბადი. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მ. ტატჩერი ერთდღიან ვიზიტად ჩავიდა პაკისტანში. როგორც პრესა იუწყება, „ამ ვიზიტის მიზანია ლონდონმა დაუდასტუროს ისლამაბადს, რომ ეგი მზარს უჭერს პაკისტანის კურსს, რომელიც ითვალისწინებს დემოკრატიული ავღანეთის წინააღმდეგ გამოუცხადებელ ომში მონაწილეობას. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ამ ნიშნით გაიმართება იხგლისის პრემიერის მოლაპარაკება პაკისტანის სამხედრო რეჟიმის მეთაურთან გენერალ ზია-ულ-ჰაკთან.

ნიშანდობლივია, რომ ბრიტანელი ვიზიტიორის მოგზაურობის პროგრამაში შედის პეშავარის მახლობლად მდებარე ეგრეთ წოდებული „ავღანელ ლტოლვილთა“ ბანაკის დათვალიერება, სადაც ამერიკელი და ჩინელი ინსტრუქტორები წვრთნიან ბანდიტებს, რომლებსაც პაკისტანის ტერიტორიიდან ავღანეთში გზავნიან ტერორისტული აქტების განსახორციელებლად.

● იაპონია

ამერიკელი ელჩის ანტისაბჭოური მონაჩმახი

ტოკიო. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა იაპონიაში მ. მენსფილდმა გააკეთა მორიგი განცხადება, რომელიც შეიცავდა ანტისაბჭოურ გამონათქვამებს და მილიტარისტულ მოწოდებებს. ჰოკაიდოს კუნძულის ქ. საპოროს ამერიკულ ცენტრში ჟურნალისტებთან შეხვედრისას მან კვლავ მოიშველია ყბადაღებული მითი „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ და მსმენელებს აშინებდა „ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი ომის საშიშროებით“.

რისთვის დასჭირდა ამერიკელ დიპლომატს ეს გაცვეთილი მონაჭორები? ყველაფერი ცხადი გახდა, როცა ელჩმა გადაჭრით მოსთხოვა იაპონიას დაეჩქაროს სამხედრო მანქანის გაძლიერება, გააქტიუროს მილიტარისტული სამზადისი.

საბჭოთა კავშირის საზღვრის უშუალო სიახლოვეს მდებარე ჰოკაიდოს კუნძულზე ამერიკის ელჩის ჩასვლას აქ მიიჩნევენ ვაშინგტონის ზემოქმედების მორიგი რაუნდის დაწყებად, რომელიც ცდილობს აიძულოს იაპონია კიდევ უფრო მეტად გაზარდოს სამხედრო ბიუჯეტი და გააფართოოს მონაწილეობა ამერიკის შეერთებული შტატების გლობალურ ანტისაბჭოურ სტრატეგიაში.

მაგრამ მენსფილდის აგრესიულ მოწოდებებს მხარი არ დაუჭირა ჰოკაიდოს საზოგადოებრიობამ, რომლის უმრავლესობა მოითხოვს საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლობისა და მეგობრობის განვითარებას.

ფოტოფაქტი

იაპონელებს ომი არ სურთ

ოკინავა. ოკინავის გაღმიდან ფართო მხარდაჭერის შედეგად იაპონიაში აძლიერებენ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს: ქვეყანა შეიარაღების ექსპორტიორად იქცა, ჩქარი ტემპით წარმოებს „თავდაცვითი ძალების“ მოდერნიზაცია, რეგულარულად იმართება სამხედრო წვრთნა ამერიკის ჯარებთან ერთად.

იაპონელები — მუშები, გლეხები, მოსამსახურეები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების წევრები აღშფოთებული არიან ძ. სუზუკის კაბინეტის მილიტარისტული კურსის გამო. ქალაქების ქუჩებსა და მოედნებზე, ამერიკის შეერთებული შტატებისა და „თავდაცვითი ძალების“ ბაზების მახლობლად ყოველდღიურად იმართება საპროტესტო დემონსტრაციები.

სურათზე: იაპონიის დემოკრატიული ახალგაზრდობის ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია სახმელეთო „თავდაცვითი ძალების“ სამხედრო ბაზის წინ.

საკადესის ფოტო.

ვითარება ეგვიპტეში

ნიუ-იორკი. „სი-ბი-ეს“ ტელეკომპანიის სპეციალური კორესპონდენტი უ. კრონკაიტი აცხადებს: „ქალაქის ქუჩებში სანახავიდა, გამვლელებს მაინცდამაინ არ ეტყობათ, რომ მგლოვიარენი იყვნენ მომხდარი ამბის გამო. ეგვიპტელ ჟურნალისტებმა ხალხმა ნასროს სიკვდილი 11 წლის წინათ როგორ რეაგირებს იგი ახლა დათის სიკვდილზე. როცა ნასერი გარდაცვალების ამბავი კაირეში გავრცელდა, უთვრავი ხალხი მოეფინა ქუჩებს. თავზარდაცემული ადამიანები ქვაფენილს ურყამდნენ თავს. ახლა მსგავსი ატმოსფერი შეიმჩნევა. ყველგან სიმშვიდე სუფევს.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ცდილობს ეგვიპტის ამბავი გამოიყენოს იმ კურსის განგრძელებლად, რომელიც კემპ-დევიდის ანტიარაბული სეპარატული გარიგებით დაიწყო. ეს დაუფარავად განაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ა. ჰეიგმა, რომელმაც თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში „კვლავიხდებურად ენასზღვრავენ კემპ-დევიდის თანხმებანი“.

● ინდოეთი

პროვოკაციები გრძელდება

დელი. ფენჯაბის შტატის მთავრობის დაწესებულებებში ანყებათა მთელი სერია შოაწყვეს. დალ ხალსის დაჯგუფების წევრმა ექსტრემისტებმა, რომლებმა მოითხოვენ, რომ ამ შტატის ტერიტორიაზე შეიქმნას „ხალისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფო“. ძირგამომთხრელმა ელემენტებმა წინა კვირას პაკისტანიდან გაიტაცეს ინდოეთის სამოქალაქო თვითმფრინავი და ახლა ტერორის კამპანიის მეშვეობით ცდილობენ გაათავისუფლებინონ ხელისუფალთ თავიანთი „კოლეგები“, რომლებიც მკვლელობისა და დივერსიების ბრალდებით არიან დაპატიმრებულნი.

● იტალია

გარდაიცვალა რომის მერი

რომი. გუელის შეტევის შედეგად 49 წლისა გარდაცვალა იტალიის დედაქალაქის მერი, იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელების წევრი ლუჯი პეტროზელი. ლ. პეტროზელი, იტალიის მარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, რომის პირველი კომუნისტი მერი, ამ პასუხსაგებ პოსტზე ხელახლა აირჩიეს ივნისში გამართული ადმინისტრაციულ არჩევნების დროს.

იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის მოსამართით პირველი დეპეშები მოვიდა, რომლებშიც ქვეყნის ძირითადი პოლიტიკური პარტიების ლიდერები ღრმა სამძიმარს გამოთქვამენ.

ციტრუსოვნები მრავალწლოვანი, მარდამწვანე, უხვმოსავლიანი და შეტად სასარგებლო მცენარეებია. ისინი კარგად ხარობენ საქართველოს შავი ზღვისპირა ზოლში, იზრდებიან ერთსა და იმავე ადგილზე დიდხანს, შთანთქავენ და ნიადაგიდან გამოაქვთ საკვები ელემენტები, რითაც ნიადაგს მეტად აღარიბებენ, ამიტომ არის, რომ ციტრუსოვნების დამუშავების აგროტექნიკის, მათი მოსავლიანობის გადიდების რეზერვების ძიებას ბევრი მეცნიერული გამოკვლევა ეძღვნება. მიუხედავად გაწეული მუშაობისა, სწორი არ ეყოფა, თუ ვიტყვით, რომ ციტრუსების მოსავლიანობის გადიდების ყველა რეზერვი გამოვლენილი და დანერგილი იყოს წარმოებაში. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და ახლებურად გადასაწყვეტი.

ჩვენს პირობებში უსასუქოდ ციტრუსის უხვი და მყარი მოსავლის მიღება შეუძლებელია. ამავე დროს სასუქების, განსაკუთრებით ფიზიოლოგიურად მჟავე სასუქების, სისტემატური გამოყენება ზოგიერთი საკვები ელემენტის გახსნას უწყობს ხელს. ამით კი ნიადაგი ირეცხება და მისი შემცველების შემცირება მცენარეზე ცუდად მოქმედებს. ასეთ ელემენტთა რიცხვს განეკუთვნება მაგნიუმი. მას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლის გადიდების, ნაყოფის ხარისხის გაუმჯობესების და ყინვაგამძლეობისათვის. მრავალი გამოკვლევით დადგენილია, რომ საქართველოში ციტრუსოვნების პლანტაციების ნიადაგი მაგნიუმს ძალზე მცირე რაოდენობით შეიცავს, ამიტომ შემუშავებულია რეკომენდაციები მისი დეფიციტის შესავსებად. ამ მიზნით ნიადაგში მაგნიუმის შემცველი ნივთიერებების შეტანაა საჭირო. ასეთებია დოლომიტი, მზესუმზირას ნაყოფის ნარჩენები და სხვა. მაგრამ მათი გამოყენება ფართო მასშტაბით, სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო ციტრუსოვანთა პლანტაციების განაყოფიერებისათვის ჯერჯერობით დიდი მასშტაბით არ ხდება. ამავე დროს არის სხვა საშუალება, რომლის გამოყენება ტექნიკურ სირთულეს არ ქმნის. საკითხი ეხება ციტრუსოვანთა განაყოფიერებისათვის მინერალური სასუქის კალიმაგნეზიის გამოყენებას. იგი შეიცავს 30 პროცენტ კალიუმს და 14 პროცენტ მაგნიუმს, განეკუთვნება კალიუმიან სასუქებს. ამ სასუქს ქიმიური მრეწველობა უშვებს.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატთან ჯ. წოწორნავასთან ერთად 19 წელია ვსწავლობთ კალიუმიანი სასუქების შედარებითს ეფექტიანობას. საცდელი ბაღი გაშენებულია 1962 წლის გაზაფხულზე სოხუმის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საცდელი სადგურის ექსპერიმენტულ ბაზაში — გვანდრაში. აქ ძირითადად მანდარინის ფართოფოთლიანი „უნშიუს“ ერთწლოვანი ელიტური ნერგებია. სასუქების გამოყენების ცდაც ამავე წლიდან დავიწყეთ. საცდელი ნაკვეთის ნიადაგი ეწერია. ბაღის გაშენების დღიდან ამონიუმის გვარჯილა, სუპერფოსფატი, კალიუმის ქლორიდი, კალიუმის სულფატი და კალიმაგნეზია შეგვქონდა დადგენილი დოზის მიხედვით აგროტექნიკურ ვადებში. ამავე დროს ვსწავლობდით აზოტიანი და ფოსფორიანი სასუქის ფონზე კალიუმიანი სასუქის შემდგომ და პირდაპირ მოქმედებას.

მოსავლიანობა მიწის პასპორტია

საცდელ ბაღში პირველი მოსავალი 1966 წელს მივიღეთ. მოსავლის დაგროვებაც 1963-1964 წლის ზამთარში მცენარეთა ყინვებისგან დაზიანებამ გამოიწვია. გაიყინა მცენარეთა ის ნაწილი, რომელსაც მიწა შემოყრილი არ ჰქონდა. ამიტომ 1964 წელს ყველა საცდელი მცენარე გადავჭერით ფესვის ყელიდან 10 სანტიმეტრ სიმაღლეზე.

სხვადასხვა ფორმის კალიუმიანი სასუქის გავლენით მანდარინის მოსავალი 9-47 პროცენტის ფარგლებში გაიზარდა. ყველაზე მცირე მოსავალი (ჰექტარზე ერთი ტონა) მიღებულია იქ, სადაც კალიუმის ქლორიდს ვიყენებდით. შედარებით მეტი (2,9 ტონა) მიღებულია იქ, სადაც კალიუმის სულფატს ვიყენებდით, კიდევ უფრო მეტი (5 ტონა) მივიღეთ იმ ხეებიდან, რომელსაც კალიმაგნეზიის სასუქით ვკვებავდით. მიღებული მოსავლის ნამატი 4 ტონით სჭარბობს კალიუმის ქლორიდით და 2,1 ტონით კალიუმის სულფატით გამოკვებილი ხეებისაგან მიღებულ მოსავალს. მაშასადამე, 12-წლიან ბაღში ცდების შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ კალიუმიანი სასუქებიდან საუკეთესოა კალიმაგნეზია. გარდა ამისა, მინერალური სასუქით განაყოიერებული ბაღებიდან 2,7-3,9-ჯერ მეტი მოსავალი მიიღება, ვიდრე გაუნაყოიერებლიდან, რაც მინერალური სასუქის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

კალიუმიანი სასუქის შეტანის შეწყვეტას პირველ ორ წელიწადში მოსავალი არ შეუმცირებია. მესამე წლიდან დაიწყო მოსავლის შემცირების ტენდენცია და მეხუთე წელს პრაქტიკულად ისეთივე მოსავალი მივიღეთ, როგორიც ამნიუმის გვარჯილისა და სუპერფოსფატის ერთად გამოყენების დროს ვღებულობდით. ეს იმ კალიუმიანი სასუქების შემდგომი მოქმედება მანდარინის მოსავლიანობაზე მხოლოდ ერთ-ორ წელიწადს გრძელდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ხუთი წლის მანძილზე უსასუქოდ მცენარის ასაკის მატებასთან ერთად აღინიშნა მოსავლის კანონზომიერი კლება და ხუთი წლის საშუალო მოსავალი ჰექტარზე მხოლოდ 6,7 ტონა იყო.

ამრიგად, კალიუმიანი სასუქების ფორმებიდან პირველი ადგილი მაგნიუმის შემცველ კალიმაგნეზიას უჭავია, მეორე — კალიუმის სულფატს და მესამე — კალიუმის ქლორიდს. კალიმაგნეზია პირდაპირი მოქმედების წლებში კალიუმის ქლორიდთან შედარებით ჰექტარზე 4-4,1 ტონით ზრდის მოსავლიანობას. აგროწესებით კი გათვალისწინებულია კალიუმის ქლორიდის ან კალიუმის 40-პროცენტიანი მარილის გამოყენება ციტრუსების ბაღის გასანაყოიერებლად.

კალიმაგნეზია არ განეკუთვნება ისეთ მინერალურ სასუქს, რომელიც ერთ ეკოლოგიურ პირობებში იძლევა დიდ ეფექტს, მეორეში კი არა. ამას ადასტურებს ჩვენ მიერ აფხაზეთის პირობებში 19 წლის მანძილზე წარმოებული სტაციონარული ცდა და ლაბორატორიული გამოკვლევები, ასევე აჭარის პირობებში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ბ. ა. გომიაშვილის (ჩაქვი) და ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. ვ. კუზნეცოვის (სალბაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა) ამ ბოლო წლებში წარმოებული გამოკვლევები. კალიუმიან სასუქებს შორის კალიმაგნეზიას პირველი ადგილი უჭავია არა მარტო მოსავლიანობის გადიდების, არამედ ნაყოფის ხარისხის გაუმჯობესების მხრივაც.

ხანგრძლივი ცდების მონაცემები ადასტურებს, რომ ციტრუსების ბაღის განაყოიერებისათვის კალიმაგნეზია ძვირფასი კალიუმიანი სასუქია. ციტრუსების სხვადასხვა ასაკის კარგად მოვლილ ბაღში აგროტექნიკური დოზით გამოყენებული კალიმაგნეზია კალიუმის ქლორიდთან შედარებით ჰექტარზე 3-4 ტონით მეტ მოსავალს იძლევა. არ უნდა გვეუ

ფესრიგი დავამყაროთ საბინაო საკითხის გადაწყვეტაში

(დასასრული)

ნების რეკონსტრუქციასთან და-კავშირებით, განუბრელად უნდა ...ნეს დაცული ახალ სახლებში მოქალაქეთა შესახლების დადგენილი წესი და ვადები.

...ის გამო, რომ ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის საუნ...ბო სახლში უკანონოდ მისცა 5 ბინა მოქალაქეებს, რომლებიც საცხოვრებელი ფართობით უნდა დაეკმაყოფილებინათ საჭალაქო საბჭოს აღმასკომის ფონდის ხარჯზე, ბათუმის სახალხო დეპუტ...ის საქალაქო საბჭოს აღმასკომ...ის თავმჯდომარეს ამხ. ემირიძეს გამოეცხადა საყვედური.

...ის გამო, რომ საცხოვრებელი ფართობით მოქალაქეთა დაკმაყოფილების დაჩქარების მიზნით ჩაწერა ისინი ბარაკულ სადგომებში, აგრეთვე დაუშვა საბინაო კანონმდებლობის სხვა დარღვევები, სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მიქაბაძეს გამოეცხადა საყვედური.

...ის გამო, რომ ბინის მიღების აღრიცხვაზე აიყვანა მოქალაქენი, რომლებსაც არ ჰქონდათ საბინაო კანონმდებლობის დარღვევით მოქალაქეთა აყვანისა და საბინაო ფონდის უკანონო განაწილებისათვის მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გულიზადეს გამოეცხადა საყვედური.

ქალაქ ქუთაისის ლენინისა და ავტომაჩარნის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების ამხ. ჩიხლაძისა და ამხ. სანაძის ყურადღება მიეპყრო იმასა, რომ მათ არ დაამყარეს წესრიგი ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეთა დოკუმენტაციის საქმეში.

თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ამხ. სვანიშვილი), საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს №15 ტრესტის №2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოსა და №3 ტრესტის №2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს (უფროსები ამხ. დუმბაძე და ამხ. შეროზია), ქუთაისის ლითოფონის ქარხნისა და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის (დირექტორები ამხ. ქაჯაია და ამხ. ქარცევაძე), ქუთაისის სახლსაშენებელი კომბინატის (დირექტორი ამხ. ბეჟუაშვილი), ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის (დირექტორი ამხ. ხარებავა) და ქუთაისის კირთვის სახელობის სამკერვალო გაერთიანების (დირექტორი ამხ. შენგელია) ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის (დირექტორი ამხ. კალიანი), საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „სპეცმშენის“ ტრესტის სოხუმის №20 მოძრავი მექანიზებული კოლონის (უფროსი ამხ. მარღანია), თელავის აბრეშუმსართავი ფაბრიკის (დირექტორი ამხ. გრიშიკაშვილი), ხაშურის მექანიკური ქარხნის (დირექტორი ამხ. სტეფანიშვილი), ხაშურის მინის ტარის ქარხნის (დირექტორი ამხ. ვაშაკიძე), საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მარნეულის საწარმოო გაერთიანება „საქართველოს“ (უფროსი ამხ. დათუაშვილი) ხელმძღვანელები გაფრთხილებული არიან, რომ მათს საქვეუწყებო ორგანიზაციებში ბინების განაწილება წარმოებს აღრიცხვის რიგითობის დარღვევით, ყურადღება არ ექცევა ქალაქში ჩაწერის სავალდებულო ვადას, და თუ ისინი უმოკლეს ვადაში არ გამოიტანენ სათანადო დასკვნებს ამ ფაქტებიდან და არ დამყარებენ სრულ სახელმწიფო წესრიგს ამ საქმეში, მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

ცნობად არის მიღებული, რომ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ ქალაქებში თბილისსა და ხაშურში ბინების გაცვლის დროს დაშვებული სტიროსული დარღვევების შესახებ მასალები განსახილველად გადასცა საქართველოს სსრ პროკურატურას.

იმის გამო, რომ არ განახორციელა საჭირო ღონისძიებები საბინაო კანონმდებლობის დარღვევათა აღსაკვეთად, ხაშურის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. გოგოლაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. ცნობად არის მიღებული, რომ ხაშურის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ქაჯაველიძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან. (საქინფორმი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲬᲔᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲯᲝᲡ რაიონი მტკიცედ დგას ინტენსიური მეურნეობრიობის რელსებზე. მიმდინარეობს დიდი მშენებლობა, კეთილმოწყობილი ხდება სოფლის მშრომელთა ყოფა-ცხოვრება. რაიონმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

უკანასკნელ პერიოდში რაიონში თითქმის არ არის კანონიერების სერიოზული დარღვევის ფაქტები. იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიეს ამას, გვიამბობს საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი ᲛᲔᲓᲔᲐ ᲛᲔᲤᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

— წარმატება თავისთავად არ მოდის, — თქვა მან, — იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომელთა შესახებაც ჩვენ ვლაპარაკობთ, წინ უძღოდა დიდი ორგანიზატორული მუშაობა. შარმან ჩაილურის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არც ერთი სერიოზული სამართალდარღვევა არ ყოფილა. სასოფლო საბჭოს აღმასკომს სათავეში უდგას ეკონომისტი გურამ საგინაშვილი. მან შეძლო სასოფლო საბჭოს გარშემო დაერაზმა სოფლის აქტივი. მას შეუძლია ისე ელაპარაკოს ადამიანებს, რომ თითოეულს ესმოდეს: არ კმარა იცოდე, რა არის პატიოსნება და სიკეთე, საჭიროა ბრძოლა. მისი წინადადებით შეიქმნა სახალხო რაზმელთა შტაბი, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს სასოფლო საბჭოს დეპუტატი გ. მემარნეშვილი. შტაბის წევრები — 42 კაცი — ჩვეულებრივ თვეში ერთხელ იკრიბებიან. თუმცა არსებული წესის თანახმად, საგანგებო მდგომარეობის დროს მათ შეუძლიათ, როცა უნდათ მაშინ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ აქამდე საქმე ჯერ არ მისულა. პროფილაქტიკური სამუშაოს ანუ შტაბის შემადგენლობაში შევიდნენ ავტორიტეტიანი კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, პედაგოგები. ისინი არა მარტო ლექციებსა და საუბრებს აწყობენ, არამედ ყოველი მათგანი თავ-თავის სამუშაო ადგილზე, ყოფა-ცხოვრებაში იძლევა პატიოსნების, ჩვენი კანონების, მორალის დარღვევისადმი შეურიგებლობის მაგალითს.

შტაბის სხდომებზე მისი წევრები მარტო გაწეული მუშაობის შესახებ როდი აბარებენ ანგარიშს. ხშირად აქ თითქოს და შემთხვევით, იწვევენ ამა თუ იმ ადამიანს.

ისინი მეტწილად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ოჯახში აყალ-მაყალის ამტეხ ხალხია. ასეთი „ვმირების“ საქმის განხილვას შეგნებულად არ ჩქარობენ. უბრალოდ საშუალებას აძლევენ მოისმინონ და შეაფასონ საზოგადოებრიობის მოქმედება ამ შემთხვევებში. მაგრამ საქმეს თუ ასეთმა პროფილაქტიკამაც ვერ უშველა, საკითხს პერსონალურად იხილავენ.

ისეც ხდება, რომ ადამიანი კეთილ რჩევას ყურად არ იღებს, მეტწილად ეს ქრონიკული ალკოჰოლიზმის შედეგია. ასეთი იყო გუგული ლოლაძე, იგი უმიზეზოდ ეჩხუბებოდა ოჯახის წევრებს, ეწიოზლებს. შტაბის გადაწყვეტილებით ლოლაძე სამკურნალოდ გაიგზავნა. თავის დროზე საბჭოზე მკაცრად დაგმეს აგრეთვე მამაშვილის ვალიკო და სოსო კირაკოზაშვილის საქციელი, რომლებიც ხშირად ჩხუბობდნენ და ერთ-ერთი ჩხუბი სხეულის დაზიანებით დამთავრდა. კომუნისტების, დეპუტატების ჩარევამ, მათმა დამაჯერებელმა საუბარმა დაარწმუნა ისინი, რომ ასეთი საქციელით ჩირქს სცხებდნენ სოფელს. უკვე კარგა ხანია მამა-შვილი სიმტკიცილობით ცხოვრობს. ასე საბოლოოდ აღმოიფხვრა აგრეთვე მეზობლებს შორის დავა და კინკლაობა. საამისოდ სასოფლო საბჭომ, აღმასკომმა სპეციალურად მკაცრად განიხილეს გიორგი აყვარშვილისა და ანა ჩიხლაძის არანორმალური ურთიერთობა. მათ ოჯახებს მიაბაგარეს აქტივისტები ა. გურგენიძე და რ. გრძელიშვილი, ამის შემდეგ სასოფლო საბჭოში მთლიანად მოისპო მეზობელთა დავა.

— კიდევ (რა რეალური ძალა აქვთ აქტივისტებს ხულიგნების, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევების და სხვათა წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკაზე?

— ყველა სასოფლო საბჭოსთან მოქმედებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისია. სახალხო რაზმელთა შტაბებთან ერთად დიდ სოფლებში შექმნილია მართლწესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები. თავიანთი ძალა — დამნაშავეობისადმი შეურიგებლობა გამოავლინეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შექმნილმა ამხანაგურმა სასამართლოებმა. ისინი უყურადღებოდ არ ტოვებდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თვით უმნიშვნელო შემთხვევასაც კი.

სოფლებში გამოყოფილია უბნის ინსპექტორები, მაგრამ საზოგადოებრიობის დაუხმარებლად მათ მუშაობა გაუჭირდებოდათ. აქაური რაზმელების მთავარი დამახასიათებელი თვისებაა პრინციპულობა. წესრიგის ყოველ დარღვევას არჩევენ საზოგადოებრიობის კრებებზე. უღრეკად სერიოზული შემთხვევების გამო იმართება ხალ-ბაასა კლუბებში ადგილობრივ მცხოვრებთა მონაწილეობით.

საგზაო შემთხვევების აღკვეთის მიზნით კი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით ეწყობა ოპერატიული ღონისძიებანი: „ტალღა“, „ავტომოჯირითე“, „ტაიფუნი“, „ჯანმრთელობა“ და ა. შ. ყველა სატრანსპორტო დარღვევას იხილავენ საზოგადოებრიობისა და

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲬᲔᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ

მძღოლების კრებებზე. სახალხო რაზმელთა აქტიური მუშაობის შედეგად რაიონში მკვეთრად შემცირდა საგზაო შემთხვევების რიცხვი.

— მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ხომ არ შეექმნება, რომ საგარეჯო მშვიდი რაიონია. ხდება თუ არა მართლწესრიგის სერიოზული დარღვევები?

— რაიონის ზოგიერთ სოფელს სახელი აქვს გატეხილი თავაწყვეტილობით. ზოგ სოფელზე ასედაც კი ამბობენ: იქ ჩხუბისთვისაც ცხოვრობენ ან ავყიეთო, იქ ხულიგნები და მუქთახორიები და ა. შ. ჩვენს რაიონში ასეთი იყო მაგალითად, პატარძეული, ხაშმი, კოჭაანი, გომბორი, გიორგაწმინდა, კაკაბეთი. მაგრამ ჩვენ ისინი არასოდეს არ ვკრჩებოდა უყურადღებოდ. ვის არ ახსოვს, მაგალითად, კაკაბეთში მომხდარი საშინელება, როცა ჯემალ ოთიაშვილის ოჯახში დამალული იყო დიდძალი თანხის გამოძალვის მიზნით თბილისში მოტაცებული ბავშვი. სოფელმა მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა თანამედროვე ბარბაროსებს, სოფლის ყრილობაზე სასტიკად აიმაღლეს ხმა მათ წინააღმდეგ. საზოგადოებრივმა აზრმა დიდი გავლენა მოახდინა და ამის შემდეგ არათუ რაიონში, რესპუბლიკაშიც არ მომხდარა მსგავსი შემთხვევა.

მიმდინარე წლის იანვარში პატარძეულში გაიმართა სოფლის ყრილობა, სადაც სხა-ბაასი იყო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებზე. ყრილობაზე მკაცრად გაკიცხეს ისინი, ვინც რაიმეთი არღვევენ სოციალისტური თანაცხოვრების წესებს. დაარწმუნეს რომ ამგვარ მოქმედებას აღარ აპატიებენ. ყრილობის შემდეგ სოფელში მეტი სიმშვიდე იგრძნობა.

პარტიის საგარეჯოს რაიკომი საზოგადოებრივ წესრიგს ნაკლებ მნიშვნელობას როდი ანიჭებს, ვიდრე მაგალითად, სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს. ეს ხშირად ხდება რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგანი. როცა „რაიონში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა“ საკითხს ვიხილავდით, ან მართლწესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ ... ...ლ. ...ბ. ...ბ. ...ბ

რუსი მეცნიერი—ქართული კულტურის მკვლევარი

ო, რა სილამაზეა! მარტო უშბისათვის ღირდა სვანეთში ჩამოსვლა!— ასე აღფრთოვანებით წერდა 1886 წელს სვანეთის სამეცნიერო ექსპედიციის დღიურში აკადემიკოსი მაქსიმე კოვალევსკი, რომლის დაბადების 130-ე წლისთავი სულ ახლახან შესრულდა.

ევროპული მედიევისტიკის (შუასაუკუნეების ისტორიის) კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიული ყოფისა, და ჩვეულებითი სამართლის მსოფლიო სახელის მკვლევარი, იურისტი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის მკვლევარი, სოციოლოგი, სახელმწიფოთმცოდნე და სამართლის ისტორიკოსი... კვლევის მასშტაბითა და უნივერსალური ხასიათით, აგრეთვე მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობით რევოლუციამდელ რუს ისტორიკოსთაგან მას, ალბათ, ვერავინ შეედრება. ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1872 წელს მაქსიმე კოვალევსკი სამეცნიერო მივლინებით საზღვარგარეთ გაეშგზავრა. გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიასა და ესპანეთში ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მან მდიდარი საარქივო მასალა გამოაქვეყნა. 1876 წელს კოვალევსკი სამშობლოში დაბრუნდა. სამაგისტრო დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ იგი მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე მიიწვიეს, სადაც 10 წლის განმავლობაში კითხულობდა ევროპის ქვეყნების სახელმწიფო სამართლის კურსს. ახალგაზრდა კოვალევსკის ღრმამეცნაურნიან ლექციებს, გარდა იურისტებისა, დიდძალი აუდიტორია ესწრებოდა. ბრწყინვალე ორატორული ნიჭით დაჯილდოებულმა ლექტორმა სულ მალე საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა. იგი გაბედულად და აშკარად აკრიტიკებდა მეფის რუსეთის ბიუროკრატიულ სახელმწიფო წყობილებას და მის ნაცვლად კონსტიტუციურ-პარლამენტარულ მმართველობას ქადაგებდა. აგენტურული დაბეზღების საფუძველზე მას ბრალად დასდეს „კონსტიტუციური იდეების“ პროპაგანდა. ამის საფუძველზე 1887 წელს კოვალევსკი უნივერსიტეტიდან დაითხოვეს და აუკრძალეს რუსეთის უნივერსიტეტებში ლექციების კითხვა; იგი იძულებული გახდა საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო, სადაც 18 წელი დაჰყო (1887-1905). კოვალევსკი არ ითვლებოდა პოლიტიკურად დევნილ ემიგრანტად, თავისი მეცნიერული ნაშრომების გამოსაცემად იგი პერიოდულად ჩამოდიოდა ხოლმე რუსეთში.

კოვალევსკი თავისუფლად ფლობდა და კითხულობდა ლექციებს საზოგადოებრივ მეცნიერების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე პარიზში, ბერლინში, ლონდონში, ბრიუსელში, სტოკჰოლმში და ესპანეთის, იტალიის და ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში. თავის ლექციებში რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხებსაც აშუქებდა, დასავლეთის სამეცნიერო საზოგადოებრიობას რუსული მეცნიერების განვითარების მდგომარეობასა და შედეგებს აცნობდა.

კოვალევსკის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1901 წელს პარიზში დაარსდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლესი რუსული სკოლა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან უცხოეთში გადახვეწილი ახალგაზრდების განათლებისა და გათვითცნობიერების, ევროპელ და რუს მეცნიერთა შორის ფართო სამეცნიერო კონტაქტების დამყარების საქმეში. აქ ლექციების წასაკითხავად მიიწვიეს გამოჩენილი მეცნიერები (რუს მეცნიერთა და პოლიტიკურ მოღვაწეთაგან აღსანიშნავია ი. მეჩნიკოვი, კ. ტიმირიაზევი, გ. პლეხანოვი და სხვანი). 1902 წლის გაზაფხულზე ვ. ი. ლენინმა, რომელიც იმ დროს ემიგრაციაში იმყოფებოდა ლონდონში, კოვალევსკის მიწვევით, ამ სკოლაში წაიკითხა ლექციები „მარქსისტული შეხედულებანი აგრარულ საკითხზე ევროპასა და რუსეთში“.

1905 წელს მ. კოვალევსკი სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაება. ჯერ პირველ სახელმწიფო სათათბიროში აირჩიეს, ხოლო 1907 წელს სახელმწიფო საბჭოში, სადაც ეგრეთ წოდებულ აკადემიურ ჯგუფს წარმოადგენდა, რომელშიც ილია ჭავჭავაძეც შედიოდა. როგორც ცნობილია ეს ჯგუფი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოდიოდა.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს კოვალევსკი დაუფარდოდა და დაუმეგობრდა კ. მარქსსა და ფ. ენგელსს: „კარლბადში ბევრი სასიამოვნო საათი გავატარე მარქსის საზოგადოებაში“, წერდა კოვალევსკი 1875 წელს. ლონდონში ყოფნის დროს კოვალევსკი ყოველ კვირას ხვდებოდა მარქსს, მათ შორის ცხოველი საუბარი და აზრთა გაზიარება იმართებოდა მეცნიერების საკითხებზე. კოვალევსკი სარგებლობდა მარქსის მდიდარი ბიბლიოთეკით. ამავე დროს მარქსი კოვალევსკის მეშვეობით იღებდა უახლეს რუსულ სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურას. „კაპიტალის“ პირველი ტომის რუსულ გამოცემასთან დაკავშირებით მარქსი წერდა: „პროფ. კოვალევსკიმ მიამბო, რომ „კაპიტალმა“ გამოიწვია ერთობ ცხოველი პოლემიკა. 1879 წელს ვ. კოვალევსკიმ მარქსს გაუგზავნა თავისი გახმაურებული ნაშრომი „თემური მიწათმფლობელობა, მისი დაშლის მიზეზები, მიმდინარეობა და შედეგები“. მარქსს ამ ნაშრომიდან გაუკეთებია ამონაწერები, რომლებიც ამჟამად დაცულია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში. სწორედ ამ ნაშრომის გამო წერდა მარქსი: „კოვალევსკის წიგნი თვითონ მისგანვე მივიღე. ის ჩემი ერთ-ერთი მეცნიერული მეგობართაგანია, რომელიც ყოველწლეულად ჩამოდის ლონდონში, რათა ისარგებლოს ბრიტანეთის მუზეუმის განძეულობით“.

„ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობის“ მეოთხე გერმანულ გამოცემაში ენგელსმა გამოიყენა კოვალევსკის მიერ სტოკჰოლმის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების კურსი ოჯახისა და საკუთრების წარმოშობის შესახებ, რომელიც ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა 1890 წელს. კოვალევსკის დიდ დამსახურებად ენგელსი იმას მიიჩნევს, რომ მან კავკასიაში აღმოაჩინა დიდი პატრიარქალური საოჯახო თემი: „მაქსიმ კოვალევსკის უნდა უმადლოდეთ იმის დამტკიცებას, რომ პატრიარქალური სახლისეული თემი... წარმოადგენდა გარდამავალ საფეხურს ჯგუფობრივი ცოლქმრობიდან წარმომდგარ და დედის უფლებაზე დამყარებულ ოჯახსა და თანამედროვე მსოფლიოს ცალკეულ ოჯახს შორის (მარქსი და ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. II, 1964, გვ. 260). ამავე ნაშრომის სხვა ადგილას, ეხება რა ამ აღმოჩენის მნიშვნელობას მიწის საერთო საკუთრების ფორმის წარმოქმნაში, ფ. ენგელსი კვლავ საგანგებოდ აღნიშნავს კოვალევსკის დამსახურებას: „მას შემდეგ, რაც კოვალევსკიმ დაამტკიცა, რომ... ფართოდ ყოფილა გავრცელებული პატრიარქალური სახლისეული თემი, როგორც შუალედი საფეხური დედისუფლებიან კომუნისტურ ოჯახსა და თანამედროვე იზოლირებულ ოჯახს შორის, საკითხი უკვე აღარ დგას ისე, როგორც იგი იდგა ჯერ კიდევ მაურერიდან დაწყებული და ვიაცით გათავებული, — მიწის საერთო საკუთრება თუ კერძო საკუთრება — ახლა საკითხი დგას საერთო საკუთრების ფორმის შესახებ“ (იქვე, გვ. 356).

მარქსთან და ენგელსთან მეგობრობამ ერთგვარად განსაზღვრა კოვალევსკის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულება. მარქსს რომ არ გავცნობოდი, წერს იგი, არც მიწათმფლობელობის ისტორიის, არც ევროპის ეკონომიკური ზრდის შესწავლას შეეუდგებოდი და მთელ ყურადღებას პოლიტიკურ დაწესებულებათა ისტორიის შესწავლაზე გადავიტანდი; მარქსი ეცნობოდა ჩემს ნაშრომებს და გულახდილად მიზიარებდა თავის აზრებს მათს შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ კოვალევსკი მარქსისა და ენგელსის იდეების ერთგვარ გავლენას განიცდიდა, მარქსიზმისაგან მაინც შორს იდგა. იგი იყო ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგი, ბურჟუაზული პარლამენტარიზმისა და კონსტიტუციური მონარქიის მომხრე, რევოლუციური ბრძოლის წინააღმდეგი და ევოლუციური განვითარების მქადაგებელი, რის გამოც ვ. ი. ლენინმა არაერთგზის მკაცრად გააკრიტიკა იგი.

მ. კოვალევსკის პირველი სამეცნიერო ექსპედიცია საქართველოში 1885 წლის ივლისში მოხვიდა. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ თვით კოვალევსკი, პროფესორი ი. ივანუკოვი (ეკონომისტი, ეთნოგრაფი) და მოსკოვის კონსერვატორიის დირიჟორი, ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის მასწავლებელი პროფესორი ს. ტანეევი. ექსპედიციის მარშრუტი კისლოვოდსკიდან დაიწყო, სადაც ხსენებული პირები ისვენებდნენ. ექსპედიცია სვანეთში გაეშგზავნა ბაქსანის ხეობისა და ბალყარეთის გავლით. ადიდებული მდინარეებისა და ყინულოვან უღელტეხილებზე უგზოობის გამო ექსპედიციამ ბევრი ფაფარაკი გადაიტანა და, როგორც იქნა, დიდი ვაი-ვაგლახით ჩაადა სვანეთის სოფელ ეწერში. სვანეთში ექსპედიციამ სულ რამდენიმე დღეს დაჰყო. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი სამართლის მცოდნე მხცოვანი პირების დახმარებით, კოვალევსკიმ სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის მდიდარი მასალა შეკრიბა. მეორედ კოვალევსკიმ საქართველოში 1886 წელს იმოგზაურა, მან შემოიარა ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის სოფლები, აღწერა მათი ეთნოგრაფიული ყოფა და ჩვეულებითი სამართალი. ორივე ექსპედიციის შედეგები საფუძვლად დაედო მის ფუნდამენტურ გამოკვლევას „ადნონი და ჩვეულება კავკასიაში“. ამ ნაშრომმა, რომლის ძირითადი ნაწილი ევროპულ ენებზეც გამოქვეყნდა, მის ავტორს დიდად გაუთქვა სახელი.

რა თქმა უნდა, დღეს, თითქმის 100 წლის შემდეგ, მისი კავკასიოლოგიური ნაშრომების ზოგიერთი დასკვნა და დებულება მოძველდა, გადასინჯვას მოითხოვს. საბჭოთა ისტორიკოსებმა, ეთნოგრაფებმა და იურისტებმა უკე აღნიშნეს მისი მცდარი აზრები და შეხედულებანი. მ. კოვალევსკი გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა უცხოური კულტურისა და სამართლის ზეგავლენას ქართული კულტურისა და სამართლის ინსტიტუტების წარმოშობაზე, საერთოდ ქართულ სამართალზე. მიუხედავად ამისა, მისი ნაშრომები თავის დროზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა, რომლის წყალობით ქართული კულტურისა და სამართლის ისტორიის საკითხები რუს და ევროპელ მეცნიერთა კვლევის სფეროში მოექცა.

კოვალევსკის კავკასიოლოგიური ნაშრომების წყალობით, კავკასიის ხალხთა, კერძოდ, ქართული სამართლის ისტორიის საკითხების შესწავლით დაინტერესდნენ ევროპელი მეცნიერები (რ. დარესტი, ფ. ჰოლდაკი, ჩ. კლუტმანი, ჟ. კარსტი და სხვ.), რომლებმაც არა ერთი ნაშრომი მიუძღვნეს ქართული კანონმდებლობისა და ჩვეულებითი სამართლის ისტორიის ცალკეულ საკითხებს. ამასთან ჟ. კარსტმა ფრანგულ ენაზე თარგმნა ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლები.

კოვალევსკის კავკასიოლოგიურ ნაშრომებს ფართოდ იყენებდა ქართული სამართლის ისტორიის პირველი პროფესიონალი მკვლევარი ნ. ურბნელი (ხიზანიშვილი), რომელმაც გასული საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნა ქართული სამართლის ისტორიის დარგში.

კოვალევსკის, როგორც მეცნიერისა და აღმზრდელის, დიდი დამსახურება ისიც იყო, რომ მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოების განყოფილების ხელმძღვანელობისას მან საზოგადოების საქმიანობით დაინტერესა და მის მუშაობაში ჩააბა ნიჭიერი სტუდენტები ნ. აბაზაძე, ბ.დალგატი, ს. ეგაიზაროვი, ს. კოკიევი, ხ. სამუელიანი, მ. ტყეშელაშვილი, ალ. ხახანაშვილი და სხვები. ზოგი მათგანი შემდეგში ცნობილი მეცნიერი გახდა. „ჯარეთი „ივერია“ იუწყებოდა, რომ 1887 წლის 9 მარტს საზოგადოების სხდომაზე, რომელსაც კოვალევსკი თავმჯდომარეობდა, მოხსენეთა ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ მოხსენება წაუკითხავს ალ. ხახანაშვილს. მოხსენებას ცხოველი კამათი გამოუწვევია, რომელშიც მონაწილეობდა კოვალევსკიც. კერძოდ, იგი დაინტერესებულა ხევსურეთის იურიდიული კომპენტენციით, მისი სამოსამართლო ფუნქციებით.

ასე რომ, დიდია რუსი მეცნიერი ენციკლოპედისტის ღვაწლი კავკასიის ხალხთა, და კერძოდ, ქართული კულტურის კვლევაში.

კოვალევსკის გარდაცვალებამ დიდი მწუხარება გამოიწვია მოაზროვნე რუსეთში. „მაქსიმ მაქსიმეს ძე კოვალევსკის გარდაცვალება, — წერდა გამოჩენილი ბუნებისმეტყველი ი. მეჩნიკოვი, — მძიმე დანაკლისია მეცნიერებისთვის, იშვიათია ისეთი მეცნიერი, რომელსაც პოლიტიკურ და მორალურ მეცნიერებათა დარგში ესოდენ სრულყოფილი ცოდნა ჰქონოდა“.

ი. დოლიძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

საუკუნოვანი გზა

ცხინვალის პირველი საშუალო

სკოლა 100 წლისაა

„**საუკუნე** მარადისობასთან წილნაყარი სიტყვაა. საუკუნოვანი ასაკი კი დიდების მარადავადედით მოსავს იუბილარს. დღეს ჩემს მშობლიურ სკოლას ასი წელი შეუსრულდა. ბარაქალა ამ სახელოვანი ისტორიის შემქმნელებს — სკოლის თავკაცებს, პედაგოგებსა და აღზრდილებს. დიდი სიყვარულით ვიხსენებ ყველას და ყველაფერს, რაც კი ჩემს სკოლასთან მაკავშირებს...“

— ასე დაიწყო თავისი გამოსვლა ცხინვალის პირველი საშუალო სკოლის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ ქრისტოფორე არეშიძემ და ამ სიტყვებით სკოლის ასობით კურსდამთავრებულს გრძნობა და სიტქმელი გამოხატა. იმ დღეს, კ. ნეთაგეროვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართულ სალამზე, ქართველი და ოსი საზოგადოებრიობა, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია სკოლა და მასწავლებელი, გულითადად ულოცავდნენ ერთმანეთს ცხინვალში სკოლის დაარსების მეასე წლისთავის იუბილეს.

მომხსენებელმა, სკოლის დირექტორმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა ანასტასია ქრისტესიაშვილმა, გამოსულებმა, სკოლის პედაგოგებმა და ნამოწაფრებმა მღელვარებით გაიხსენეს სიყმაწვილის სანუკვარი დღეები, მოწიწებით მოიხსენიეს სკოლის დამაარსებელთა საქმე და სახელი.

1880 წლის 24 თებერვალს გაზეთი „დროება“ გულთბადად გამოეხმაურა აქაურ ქვეშმქმედ ქალს ეფემია მაჩაბელს, რომელმაც ცხინვალის სკოლის სასარგებლოდ ხალხში ფული შეაგროვა და ამ თანხით მალე შეიძინეს კედეც სასკოლო შენობა. 1881 წლის პირველ აპრილს ცხინვალში ეფემია მაჩაბლის მეცენატობით გაიხსნა ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი. ზედამხედველად დაინიშნა ონის მაზრის სოფელ ძეგლევის მკვიდრი სამონ ჯაფარიძე.

ასე აინთო განათლების კიდევ ერთი ჩირაღდანი, რათა მეცნიერების, კაცთმოყვარეობის ნათელით გაეშუქებინა ათიათასობით ნორჩი ყმაწვილის გული. ოქტომბრის რევოლუციის წინა ხანებში, ძნელებდობის დროსაც ცხინვალის სკოლას არ მოჰკლებია ოვდადებული ქომაგნი და ჭეშმარიტი განმანათლებლები. დაუვიწყარია შესანიშნავი მასწავლებლის მარიამ ხიმშიაშვილის, მარიამ დავითაშვილის, ბარბარე ლალიევას, ქსენია კასრაძის, თამარ მურადოვის, ვასილ იარალოვის, დავით ციცქიშვილის და სხვათა ამაგი.

1921 წელს ცხინვალის დაწყებითი ოთხკლასიანი სკოლა შვიდწლიან შრომითს სკოლად გადაკეთდა. არსებითად განახლებული სკოლის დირექტორად დაინიშნა ცხინვალელი ალექსანდრე მელქოევი, მეტად ერუდირებული და კეთილშობილი პიროვნება. 1929 წელს შვიდწლიანი შრომითი სკოლის ბაზაზე შეიქმნა ქართული საშუალო სკოლა და მას სათავეში ჩაუდგა განათლების საქმის დიდი მოამაგე რომან ლაზარაშვილი.

საიუბილეო სხდომაზე განსაკუთრებით გულთბილად გაიხსენეს საქართველოს სკოლის დამსახურებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ კასრაძე, რომელიც 33 წლის განმავლობაში, მართლაც, მშობლიური სიყვარულით თავს დასტრიალებდა სკოლას. ვ. კასრაძემ უშურველად შეალია ძალა და ენერგია სასწავლებლის მატერიალური ბაზის გაძმტკიცებას, ბავშვთა ზნეობრივ თუ ესთეტიკურ აღზრდას. იგი ერთნაირი მზრუნველობით ეკვლებოდა თავს სწავლას მოწყურებულ ქართველ, ოს, სომეხ, ებრაელ ყმაწვილებს, თავისი გულის სითბო გაუნაწილა ყველას... როცა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ადრესი წაიკითხა მინისტრის მოადგილემ მ. კობახიძემ და ვახტანგ კასრაძის სახელი ახსენა, დარბაზი ფეხზე წამოდგა და დიდხანს მხურვალედ უკრავდა ტაშს...

განათლების ძველი კერის იუბილეზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა, ამ სკოლის აღზრდილმა, მწერალმა და დრამატურგმა მ. ელიოზიშვილმა, პოეტმა და დრამატურგმა ბ. ზეთაგურმა, სკოლის პირველი დირექტორის ქალიშვილმა თ. ჯაფარიძემ, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა ავ. ცოტნიაშვილმა, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულმა მუშამ თ. ბახტაძემ, ცხინვალის №4 და №5 საშუალო სკოლების დირექტორებმა რ. ბაქრაძემ და ვ. ხუბაევმა, განათლების საოლქო განყოფილების გამგემ ფ. ფუხაევმა და სხვებმა.

გ. თედეევი,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: ქ. ცხინვალის № 1 საშუალო სკოლა.

ს. ფუხაევის ფოტო.

ხსოვნის ცეცხლი უჭრიმ...

ძველი ფრონტული დღე-ღამეების წარუშლელი ხსოვნის მოკიაფე ალმა გაანათა ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმის დარბაზები, სადაც ყოფილი ფრონტელი ჟურნალისტები შეიკრიბნენ ტრადიციულ შეხვედრაზე „ფრონტული მიწური“. იგი მოაწყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა, თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლმა და ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის 60 წლის თავს.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მოგონებები წარსული ბრძოლების, ამხანაგების გმირობისა და სიმამაცის, მათი დღეკვნდელი საქმიანობის, სიხარულისა და გულისტკივილის შესახებ, იმაზე, თუ როგორ მონაწილეობენ ვეტერანები ახალგაზრდა თაობის აღზრდის დიდ და მნიშვნელოვან მუშაობაში, საბრძოლო ტრადიციების პროპაგანდაში.

ყოფილი სამხედრო ჟურნალისტები განსაკუთრებულ [illegible] რებით ათვალიერებდნენ [illegible] სტენდებს, [illegible] ბრძოლებს [illegible] დიდი სამამულო ომის ერთ[illegible] ყველაზე ამაღელვებელ — [illegible] სა და ფეოდოსიის ოპერა[illegible] ბრძოლას მცირე მიწაზე. დიო[illegible] ასთან „მცირე მიწა — [illegible] წლის აპრილი“ და მუზ[illegible] სხვა ექსპოზიციებთან დამს[illegible] მოგონებები გაუზიარეს ისტ[illegible] ული ბრძოლის მონაწილეებმ[illegible] გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ [illegible] დაქტორმა მ. დავითაშვილმა, [illegible] რთველოს სსრ დამსახურებ[illegible] ჟურნალისტმა ა. კელენჯერ[illegible] ჟურნალისტთა სტუმრებმა [illegible] ოფიცერმა-არტილერისტმა, [illegible] თელი დროშის ხუთი ორ[illegible] კავალერმა მ. ზასეკინმა, [illegible] დიდების ორდენოსანმა ა. გ[illegible] ნმა, პოლკის ყოფილმა კომი[illegible] გ. პაპავიანმა და „ფრონტ[illegible] მიწურის“ შეხვედრის სხვა [illegible] წილეებმა. (საქინფორმი).

ყაბალ

მატჩი მსოფლიო კირველობაზე

FIDE CENS UNA SUM

მსოფლიო ჩემპიონმა კვლავ მოიგო

მსოფლიოს პირველობაზე მატჩის მეოთხე პარტია ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ გადაიდო კარპოვის უპირატესობით.

ეი ეს შეხვედრაც.

კარპოვი — კორჩნოი

რუხული პარტია

1. e4 e5 2. ∆f3 ∆f6 3. ∆:e5 d6 4. ∆f3 ∆:e4 5. d4 d5 6. ¿d3 ¿e7 7. 0—0 ∆c6 8. ¿e1 ¿f5 9. ¿b5 ¿f6 10. ∆bd2 0—0 11. ∆f1 ∆e7 12. c3 ∆g6 13. ¿d3 ∆d6 14. ¿:f5 ∆:f5 15. ¿b3 b6 16. ¿b5 a6 17. ¿d3 ¿d7 18. ∆g3 ∆:g3 19. hg a5 20. ¿g5 ¿:g5 21. ¿fe8 22. b3 ¿ad8 23. ∆f3 24. ∆d2 ∆∆f7 25. ∆f1 h5 26. ¿:e8 27. ¿f3 ¿h8 28. ∆e3 29. ¿e1 g6 30. ¿f4 31. g4 g5 32. ¿f3 hg 33. ¿d6 34. g3 c6 35. c4 f5 36. ∆g6 37. c5 ¿d8 38. ∆e5 39. ∆:c6 ¿f6 40. ¿e6 cd 41.

ამ პოზიციაში სვლა ჩა[illegible] პრეტენდენტმა.

ბუენოსი კარპოვმა ეს პარტია [illegible] იგო. ამრიგად ანგარიში [illegible] 8:0 მსოფლიოს ჩემპიონის [illegible] გებლად.

სატურნირო ორბიტა

ხელბურთი. რიგაში დამთავრდა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა (თბილისი) ბოლო ორი მატჩი წაადა: ცსკასთან — 28:38 და ჩელიაბინსკის „პოლიოტთან“ — 27:29. პირველი წრის შემდეგ 19 ქულით ლიდერობს მინსკის არმიელთა კოლექტივი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელბურთელები 8 ქულით მეათე ადგილზე არიან.

კალათბურთი. მოსკოვში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ცსკას და სოფიის „ლევსკი-სპარტაკის“ ვაჟთა გუნდები. გაიმარჯვეს არმიელებმა — 93:70.

ლენინის სახელობის დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის კონსტიტუციის თასის გათამაშება თბილისის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის. ქალთა შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და თბილისის უნივერსიტეტის გუნდები. უნივერსიტეტის კოლექტივმა დიდი ანგარიშით (83:33) გაიმარჯვა და დაისაკუთრა თასი. ვაჟთა შორის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივებმა. გაიმარჯვეს უნივერსიტეტელებმა (83:67).

ჰანდბალი. ეოლგოდონსკში მდინარე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატზე (პირველი ლიგა) [illegible] მაშდა კიდევ ორი ტურის [illegible] ები. საქართველოს მოჭადრ[illegible] შედეგები ასეთია: ბ. გელაძ[illegible] მოუგო ე. ვლადიმიროვს, ე. [illegible] ფელდი დაუზადა ა. ხარ[illegible] ნოვს, ზ. აზმაიფარაშვილი [illegible] რაშკოვსკის და ბ. გულკო[illegible] უბილოვა დამარცხდა ე. [illegible] კოვთან შეხვედრაში. ცხრა ტ[illegible] შემდეგ 6 ქულით ლიდერობს [illegible] სვეშნიკოვი.

ჭოლადიი ქალაქ ტილბუ[illegible] გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა [illegible] ერთაშორისო შეჯიბრება. [illegible] ტურის შემდეგ 4-4 ქულით [illegible] დიდოსტატი ლიდერობს: ა. [illegible] ლიავსკი, ტ. პეტროსიანი (ო[illegible] — სსრ კავშირი), უ. ანდერ[illegible] (შვეიცია) და ი. ტიმანი (ა[illegible] დია).

ჩოგბურთი. დონეცკში მ[illegible] ნარე საკავშირო ჩემპიონ[illegible] შერეულ წყვილთა თანრიგში [illegible] მოვლინდნენ გამარჯვებულ[illegible] ფინალში დონეცელმა ე[illegible] ელისენკომ და მოსკოველმ[illegible] დიმ ბორისოვმა დაამარცხეს [illegible]

კოველი ნატალია ჩმორიოვა [illegible] ტალინელი ერვინ ლანგე — 6:1.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილ[illegible]

ტელევიზია

10 ოქტომბერი

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვერმია“ (მ.), 09.40 — ფილის ვარ-ჯიში (მ.), 10.00 — „მოთმბე“, 10.35— „ოქვენთვის, მშობლებო!“ (მ.), 11.05 — „შევისწავლოთ ქართული ენა, 11.35 — „ჩვენი სოფელი“, 12.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. 12.25—ლატვიის ტელევიზიის პროგრამა, 14.35 — „კინოფიშა“, 15.05 — „ეს ესტრადაა“ (გამეორებით), 15.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.40 — „ეკრანზეა ქართული ფილმი“ — მხატვრული ფილმი „მამლუკი“, 18.20 — „ჩვენი სპორტის პრობლემები“ — აკრობატიკა, 19.00 — მუტაციანელიკაციური ფილმი, 19.10 — გაზეთ „პრავდის“ პოლიტიკური მიმოხილველის ი. ბუკოვის საუბარი საერთაშორისო თემაზე (მ.), 19.55 — „ბალეტის მოყვარულთა[illegible] ვის“, 20.40 — „მოამბე“, 21.10 — „რუსთაველის თეატრი-100“ — „[illegible] ტიგონე“. პირველი მოქმედება, 22.0[illegible] — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „დედ[illegible] ფლის ვეიტგვირისათვის“, 22.50 — „რუსთაველის თეატრი-100“ — „ანტ[illegible] გონე“. მეორე მოქმედება.

მოსკოვი

10 ოქტომბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწ[illegible] ფო აკადემიური — **მშვენიერი ქალ[illegible] ველი ქალი;** მარგანიშვილის სახ[illegible] ლობის სახელმწიფო აკადემიური — **ჰაკი ანმა;** ეაბშიის სახელობის მუს[illegible] კალური კომედიის — **ძუნწი;** მინ[illegible] ტიურების სახელმწიფო — **ნურც [illegible] ფრინდები, ნურც მოფრინდები;** [illegible] ნინოსახელობის თეატრი — **ბნ[illegible] ოთახში.**

ბედნიერება მსოფლიოს ხალხებს

ქალაქი თბილისი კიდევ ერთმა შესანიშნავმა ნაწარმოებმა დაამშვენა. სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ზურაბ წერეთელმა შექმნა ლითონის მოცულობით-სივრცობრივი, ვერტიკალური მონუმენტური კომპოზიცია „ბედნიერება მსოფლიოს ხალხებს“. იგი დადგმულია დიღომში, მაღალ ბორცვზე — მეგობრობის პროსპექტის ბოლოს.

კარგად შერჩეულმა ადგილმა, გამომსახველმა სილუეტმა, არქიტექტურულ-სივრცობრივ გარემოსთან ორგანულმა კავშირმა მონუმენტი ქალაქის ლანდშაფტის განუყოფელ ნაწილად აქცია.

მხატვარმა კონტურებით, კომპოზიციის სილუეტით შექმნა ადამიანის სიმბოლური სახე ცხოვრების სამ სტადიაში. დაბლა დაშვებული ფრთები ახახავს ყრმის პირველ ნაბიჯებს; მეორე უსტი გამოხატავს, თუ როგორ ეხვევა მოწიფული კაცი გაშლილი ხელებით სამყაროს; მესამე უსტით გამოხატულია აღმართული ხელები ცხოვრებით დაბრძენებული მხცოვანი კაცისა, რომელმაც მოიხადა თავისი ვალი ქვეყნის და ხალხის წინაშე.

მრავალპლანიანი, დინამიკური გორელიეფები გამოხატავს ადამიანს, რომელიც გაიგივებულია კაცობრიობასთან პირველყოფილი ცხოვრებიდან კოსმოსის ერამდე.

მონუმენტის ლაიტმოტივია ადამიანი — მისი სულისა და სხეულის მშვენიერება, მისი მძლავრი გონება, მისი მისწრაფება ნათელისაკენ, სულიერი გამდიდრებისა და ფიზიკური სრულყოფისაკენ, მისი დაუცხრომელი ბრძოლა თავისუფლების, ბედნიერებისა და ქვეყნად მშვიდობისათვის.

სურათზე: მონუმენტი — „ბედნიერება მსოფლიოს ხალხებს“.

გ. ქართველიშვილის ტექსტი და ფოტო.

ვარიანში დღესასწაულგე

ქართლში შემოდგომის მზიანი, მშვენიერი დღეებია. ხილის ბაღებში და ბოსტნებში მოსავალს იღებენ. კარზეა რთველიც. რაიონის მშრომელებმა გარჯაც ჩინებული იციან და ზეიმიც. ვინც კვირას სოფელ ვარიანში გამართულ სახალხო დღესასწაულს „იაკობობას“ დაესწრო, დიდხანს გაჰყვება სასიამოვნო მოგონებად აქ ნანახი და განცდილი. გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და მწერლის იაკობ გოგებაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი დღესასწაული მასწავლებლის დღეს დაემთხვა.

მიტინგზე, რომელიც ი. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის წინ მდებარე მოედანზე გაიმართა, ბევრი მადლობის სიტყვა თქვა ახალგაზრდა თაობის აღმზრდელთა მიმართ. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ გორის რაიონის შინდისის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. სამნიაშვილი, აკადემიკოსი დ. ლორთქიფანიძე, პოეტი ხ. ბერულავა და სხვები.

მრავალი დამთვალიერებელი ეწვია სოფლის სტადიონზე მოწყობილ მოსწავლეთა ხელგარჯილობის გამოფ